ევროსასამართლომ რუსეთს ბოდიში მოუხადა A4

ტრაპატონის ნაკრებიდან აძევებენ B2

ფოტოკონკურსის გამარჯვებული B8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

3 ნოემბერი, კვირა, 2002 წელი. №154

ფასი 50 თეთრი

არ დაიჯეროთ, რომ სკანდალი დასრულდა!

დენის დავითაშვილი აღშფოთებულია

ჯუმბერ ლომინაძე

გუშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაგეგმილი სხდომა კვლავ ხმაურით ჩაიშალა. კომისიის წევრთა უმრავლესობამ კომისიის თავმჯდომარეს ჯუმბერ ლომინაძეს შეუტია და მისი გადაწყვეტილება თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს ხვალისთვის დანიშვნის თაობაზე "თვითნებურად და უკანონოდ" მონათლა.

თამარ მჭედლიშვილი

გუშინდელ ნომერში «24 საათი» უკვე წერდა ჯუმბერ ლომინაძის ამ გადაწყვეტილების თაობაზე. თუმცა, როგორც გაირკვა, ჩვენ იმ მცირერიცხოვან გამოკნალისთა შორის ვიყავით, ვინც ამ გადაწყვეტილების თაობაზე თითქმის პირველებმა შევიტყეთ.

სკანდალი მოგვიანებით ატყდა - მას მერე, რაც ცესკოს წევრთა უმრავლესობამ გაზეთი «საქართველოს რესპუბლიკა» იხილა. სწორედ იქ იყო მითითებული თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი შეკრების დრო. საგულისხმოა, რომ ამ დადგენილებას ჯუმბერ ლომინაძე ხელს აწერდა, როგორც ცენტრალური და არა როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

საქმე ის გახლავთ, რომ ცესკო თბილისში ადგილობრივ არჩევნებს მართავს საოლქო (ამ შემთხვევაში, თბილისის) საარჩევნო კომისიის რანგში. თანაც, კომისიის წევრთა აღშფოთება იმანაც გამოიწვია, რომ ჯუმბერ ლომინაძემ ეს განცხადება კომისიის მთლიანი შემადგენლობის სახელით გააკეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე

„პოლიტიკური მიწისძვრა„ - დღეს თურქეთში საპარლამენტო არჩევნებია

დღევანდელი არჩევნების შედეგებმა, შეიძლება, მთლიანად შეცვალოს თურქეთის პოლიტიკური სისტემა. გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ისლამისტურ პარტიას აქვს.

გიორგი ხელაშვილი

დღეს თურქეთში, საქართველოს უახლოეს, მოკავშირე ქვეყანაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ტარდება, რომლის შედეგებიც დიდად განსაზღვრავს არა მარტო თურქეთის, არამედ მთელი რეგიონის მომავალ განვითარებას.

ამ არჩევნებთან დაკავშირებით თურქი და უცხოელი ექსპერტების მიერ გამოთქმულ შეფასებებში, რამდენიმე მიზეზის გამო, ყველაზე ხშირად მეორდება მეტაფორა - "პოლიტიკური მიწისძვრა". უპირველეს ყოვლისა, არჩევნები რიგგარეშეა და საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში დაინიშნა – მმართველი მემარცხენე დემოკრატიული პარტიიდან წამყვანი პოლიტიკოსების გამოსვლამ სამთავრობო კრიზისი გამოიწვია, რასაც თან დაერთო პრემიერ-მინისტრ ბიულენთ ეჯევითის ავადმყოფობა.

გაგრძელება A2 გვერდზე

„ლოკომოტივის„ სტადიონი დაუდევრობის გამო ჩაბნელდა

"ლოკომოტივის" სტადიონის ჩაბნელების მიზეზებს უშიშროების სამინისტრო მესამე კვირაა იძიებს. 13 ოქტომბერს საბოტაჟის მუხლით აღძრულმა სისხლის სამართლის საქმემ, შესაძლოა, უახლოეს, მომავალში კვალიფიკაცია შეცვალოს. სავარაუდოდ, ეს ინციდენტი უშიშროების სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს გასცდება და სამსახურებრივი დაუდევრობის კვალიფიკაციით პროკურატურას გადაეგზავნება.

მართალია, სტადიონზე შუქის გამორთვის უტყუარი მიზეზი ჯერ იურიდიულად საბოლოოდ არ გაფორმებულა, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზა, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ სტადიონი დაუდევრობის გამო ჩაბნელდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

„რომის კლუბში„ საქართველოს სიმპათიით უყურებენ

ალექსანდრე რონდელი

ინტერვიუ საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტთან, ბატონ ალექსანდრე რონდელთან

ბოთა უტიაშვილი

- თქვენ ახლახან დაბრუნდით ანკარიდან, "რომის კლუბის" მიერ ორგანიზებული კონფერენციიდან. ალბათ, უპრიანი იქნება, საუბარი რამდენიმე სიტყვით თავად კლუბის შესახებ დავიწყოთ.

- მე სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, როდესაც რომის კლუბი შეიქმნა. იგი აერთიანებს ინტელექტუალებს, მოქმედ და გადამდგარ მრეწველებს, დიპლომატებსა და სხვა ცნობილ და გავლენიან ადამიანებს. მას 100-მდე წევრი ჰყავს.

30 წლის წინ დაიბეჭდა კლუბის პირველი ანგარიში - "ზრდის ზღვრები", რომელმაც მთელ მსოფლიოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კლუბის წევრები ცდილობდნენ, მსოფლიოს ყურადღება გაემახვილებინათ გლობალურ პრობლემებზე და, მათ გადასაჭრელად, გლობალური მიდგომების აუცილებლობაზე. მათ დაუდეს სათავე ე.წ. "ალარმიზმს" ("ალარმ" - განგაში) და ეს მიმდინარეობა დღესაც გრძელდება, რადგან გლობალური პრობლემები გროვდება, მათი გადაჭრა კი, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

ზაკაევის ექსტრადიციაზე დანია უარს ამბობს

დანიამ რუსეთის მოთხოვნას ახმედ ზაკაევის გადაცემის შესახებ უარით უპასუხა. დანიის იუსტიციის მინისტრის ლინე ესპერსენის განცხადებით, მოსკოვმა ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულება ზაკაევის ტერორისტობის ბრალდების დასადასტურებლად. მინისტრმა რუსეთი გააფრთხილა კიდეც, თუ 30 ნოემბრამდე მოსკოვი დამატებითი სრულყოფილი დოკუმენტაციის გაგზავნას ვერ მოახერხებს, ახმედ ზაკაევი პატიმრობიდან გათავისუფლდება.

ლინე ესპერსენ ოფიციალური წერილი მოსკოვმა გუშინ მიიღო. "რუსეთის მიერ გამოგზავნილი მასალების შესწავლის შემდეგ იუსტიციის სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ მოსკოვის მოთხოვნა ევროპის კონვენციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება. დანიის ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ რუსეთი სამართლებრივ ნორმებს არ გადაუხვევს და სრულყოფილ დოკუმენტაციას გამოაგზავნის," – ნათქვამია დანიის იუსტიციის მინისტრის წერილში.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის განცხადებით, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ კოპენჰაგენში გააგზავნა ზაკაევის ექსტრადიციისთვის საჭირო სრულყოფილი დოკუმენტაცია. მასალები ადასტურებს, რომ ზაკაევი რუსეთში მომხდარი ტერორისტული აქტების ორგანიზატორი იყო.

დანიის იუსტიციის მინისტრის წერილის მიღების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ზაკაევის ბრალეულობის დამადასტურებელ დამატებით მტკიცებულებას რუსეთის გენერალური პროკურატურა კოპენჰაგენში უახლოეს დღეებში გააგზავნის.

ჩეჩენ ტერორისტთა გვამები ახლობლებს არ გადაეცემათ

რუსეთის სახელმწიფო დუმამ პარასკევს "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონში ცვლილების შეტანას უყარა კენჭი და ერთხმადაც მიიღო. ცვლილებას მხარი დაუჭირა 288 დეპუტატმა, წინააღმდეგი მხოლოდ ერთადერთი დეპუტატი იყო.

კანონში შეტანილი ახალი ცვლილების მიხედვით, დაღუპულ ტერორისტთა გვამები ახლობლებს არ გადაეცემათ. მათთვის უცნობი დარჩება, თუ სად დამარხავენ ტერორისტებს.

"ვებრძოლოთ ცოცხალ ტერორისტებს და არა მიცვალებულთა ცხედრებს", - მოუწოდა კოლეგებს ცვლილების მოწინააღმდეგე დეპუტატმა ბორის ნადეჟდინმა და მათ რელიგია და ეთიკაც შეახსენა.

პოლიტიკა

კოტე კემულარია: ბანდიტები უდანაშაულო ბიჭებს ციხეშიც სცემდნენ

"ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყოფილი ლენინის სახელობის მუზეუმის კარი (იმელის დასახელება აქედან მომდინარეობს) ნორმალურ მდგომარეობაში დავტოვეთ და შემდეგ თავად ცაავამ თუ დაამტვრია, არ ვიცი."

A3

ეკონომიკა

„საქნავთობს„ და „კანარგოს„ ნავთობსაძიებო არეალის გაფართოება სურთ

ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერაციების წარმოებისთვის ჩატარებული ტენდერის შედეგად მიღებულ განაცხადებს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს კომისია სწავლობს. საგულდაგულოდ დალუქულ ყუთში შვიდ სალიცენზიო ბლოკზე მხოლოდ ორი კომპანიის - "კანარგო ნორიო ლიმითედისა" და ეროვნული ნავთობკომპანიის - "საქნავთობის" განაცხადი აღმოჩნდა.
28 ოქტომბერს ჩატარებული ტენდერის შედეგები მიმდინარე თვეში გახდება ცნობილი.

A3

სამართალი

რუსი მესაზღვრეები ირწმუნებიან, ქართველები - უარყოფენ

"24 საათთან" საუბრისას საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ რუსი მესაზღვრეების მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ არაფერი იციან, რადგან რუს კოლეგებს მათთვის ოფიციალურად არ მიუმართავთ. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი პროვოკაციას არ გამორიცხავს.

A4

ფოსტა

პირადი დრამა ჭირისუფლების გარეშე

ფეხით მივუყვები სანაპიროს ჩემი სახლისკენ, ძველი უბნისკენ. მთელი სხეული მიკანკალებს და ღრიალი მინდა. ღამის სანაპირო ერთმანეთზე გადაბმული რესტორნებითაა განათებული - მხიარულობს, ღრეობს, ერთობა ჩემი ღატაკი და უქონელი თბილისი.

A4

ამინდი

თბილისი	17
ქუთაისი	22
ბათუმი	23
სოხუმი	21
ფოთი	22
თელავი	15
ზუგდიდი	22
გორი	13
ახმეტა	15
ჭიათურა	18
გაგრა	20
სამტრედია	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1650
ევრო	2.1163
გირვანქა სტერლინგი	3.3640
რუბლი	0.0683

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A3 ეკონომიკა A4 სამართალი A4 ფოსტა

B2 სპორტი B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

მოკლედ

თბილისი. ქართველი მესაზღვრეები არ ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მზადდება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთში ბოევიკების შეჭრის ოპერაცია. ამის შესახებ კავკას-პრესს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სამსახურიდან აცნობეს.

ადრე რუსული საინფორმაციო საშუალებები აცხადებდნენ, რომ მზადდება ბოევიკების მხრიდან საზღვრის გარღვევა დაღესტნის მონაკვეთზე. იგივე ინფორმაცია უარყოფილია ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსი მესაზღვრეების შტაბში ოფიციალური პირების მიერ. კავკას-პრესი.

■ ■ ■

პანკისი. პანკისის ხეობის სოფელ საკობიანოში ახალი სტადიონი გაიხსნა. სტადიონის შემოღობვა, რომელიც 10 000 ლარი დაჯდა, "მოქალაქეთა კავშირის" ფონდიდან დაფინანსდა.

საკობიანოს სტადიონზე დღეს პირველი საფეხბურთო მატჩი ჩატარდება, რომელშიც ერთმანეთს სოფელ საკობიანოს ქართული და სოფელ მაღრანის ოსური გუნდები შეხვდებიან. თამაშს კახეთის გუბერნატორის მოადგილე და ახმეტის რაიონის გამგებელი დაესწრებიან.

საკობიანოს სტადიონის აღდგენა რამდენიმე თვის წინ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ინიციატივით გადაწყდა. ამ ინიციატივით ჯორბენაძე პანკისის ხეობაში "მოქკავშირის" რაიონული ორგანიზაციის დაფუძნებისას გამოვიდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ვაშინგტონი. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ჩეჩენმა ლიდერებმა "მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად უნდა დაგმონ ტერაქტები და შეწყვიტონ კავშირები ტერორისტულ დაჯგუფებებთან".

ამის შესახებ ვაშინგტონში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ფილიპ რიკერმა განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ აშშ-ს ადმინიტრაცია გამუდმებით ადევნებს თვალყურს ტერორისტულ საქმიანობას მთელს მსოფლიოში და ამ კონტექსტში უკვე განიხილა რუსეთთან "ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჩეჩნური დაჯგუფებების პოტენციური შეტანის" საკითხი.

რიკერის თქმით, ამავე კონტექსტში განიხილავს ბუშის ადმინისტრაცია ჩეჩენი საველე მეთაურის შამილ ბასაევის გუშინდელ განცხადებას მოსკოვის 23-26 ოქტომბრის ტერაქტის ორგანიზების შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ამ დროისათვის ტერორისტებისათვის და კრიმინალური ელემენტებისათვის ყველაზე გამტარიანი საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთი რჩება. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ განუცხადა, საზღვრის ამ მონაკვეთის ერთობლივი პატრულირების განხორციელების მხრივ აუცილებლად გახდება აქტუალური ორი ქვეყნის მესაზღვრეების თანამშრომლობის გაგრძელების საკითხი.

ჩხეიძე აცხადებს, რომ იგივე პრობლემა დგას საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე, თუმცა პოლიტიკური მოსაზრებებიდან მოსკოვს არ სურს აქცენტი გააკეთოს ამ მიმართებით. "რუსეთმა უნდა გაიგოს საქართველოს შეშფოთება აფხაზეთის მონაკვეთის მიმართ და უნდა წამოვიდეს ჩვენთან შეხვედრაზე, რათა აფხაზეთში არ მოხდეს დაქირავებული ბოევიკების შეჭრა" - განაცხადა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ. კავკას-პრესი.

■ ■ ■

თბილისი. ქვეყნის სრულყოფილი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნისათვის შესაბამისი პრიორიტეტული დაფინანსების შემთხვევაში, საჭიროა მინიმუმ 5 წელი. ამის შესახებ კავკას-პრესს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ განუცხადა.

საქართველო აპირებს ნატო-ს ქვეყნების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მონაწილე, თუმცა ამ წელს მან ვერ შეძლო მოხვედრილიყო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ქოლგის ქვეშ, ვინაიდან ქართულ მხარეს იმის გმო რომ არ ჰქონდა შესაბამისი დაფინანსება, ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა ალიანსის მინიმალური მოთხოვნები.

როგორც თევზაძემ განცხადა უკრაინაში ცალკეული სარაკეტო დანადგარების შესყიდვა არ ნიშნავს ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნას. "საქართველოში არასოდეს ყოფილა მსგავსი სისტემა და მის შესაქმნელად საჭიროა არა მხოლოდ შესაბამისი ტექნიკა, არამედ ხალხი, რომლებსაც ეცოდინებათ მისი მართვა და შესაბამისი გრძელვადიანი პროგრამა" - აღნიშნა მინისტრმა.

ამასთან მან აღნიშნა, რომ 8 მილიონი ლარის გამოყოფის შემდეგ, რომლის მეშვეობითაც უკრაინიდან შეძენილი იქნება დანადგარები, საქართველო შეძლებს ჩამოაგდოს "დაუპატიჟებელი სტუმრები". მხედველობაში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებია, რომელიც რამდენიმე წლის განმავალობაში დაუსჯელად ბომბავს საქართველოს ტერიტორიას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ჩეხეთი აშშ-ს თხოვნით საქართველოს მოაწოდებს ავტომატური იარაღისათვის 5 მილიონი კრონის ოდენობის (160 ათას დოლარზე მეტი) საბრძოლო მასალას. როგორც ჟურნალისტებს ჩეხეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა მილან რჟეპკამ განუცხადა, ჩეხეთმა თავდაცვის სამინისტროში თავის უკანასკნელ სხდომაზე ეს გადაწყვეტილება დაამტკიცა.

აშშ-მ ოფიციალურად მიმართა პრაღას - გაუწიოს საქართველოს დახმარება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საბრძოლო მასალის სახით. **კავკას-პრესი.**

„რომის კლუბში„ საქართველოს სიმპათიით უყურებენ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კლუბის წევრები არიან ის ადამიანები, რომლებიც მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობენ კაცობრიობის მომავალზე. ისინი არ ემსახურებიან სხვადასხვა ქვეყნების ან პოლიტიკური ძალების ინტერესებს. რაკი არავის სჭირდება, თავისი გამოსვლებით რომელიმე პარტიაში ან რომელიმე პარლამენტში ადგილი დაიმკვიდროს, საუბარი ძალიან გახსნილ და გულწრფელ ვითარებაში მიმდინარეობს. იქ, ძირითადად, ის ხალხი იკრიბება, რომელმაც უკვე ბევრს მიაღწია.

ბოლო წლებში კლუბის საქმიანობა რამდენადმე ჩრდილში მოექცა. ეს გასაგებიცაა - თუ 30 წლის წინ მხოლოდ ისინი საუბრობდნენ გლობალურ პრობლემებზე, დღეს ამ თემაზე უკვე ყველა ლაპარაკობს. მაგრამ კლუბი აგრძელებს თავის საქმიანობას.

კიდევ ერთი გარემოება. მე იმ ქვეყნიდან ვარ, სადაც კონსპირაციული თეორიები ძალზე პოპულარულია. თურქეთის პრესაშიც კი ისლამისტები ავრცელებდნენ ინფორმაციებს, რომ ანკარაში ვიღაცეები საიდუმლო ვითარებაში თურქეთის ბედის გადასაწყვეტად იყვნენ შეკრებილნი. მაგრამ ეს იყო ყველასათვის ღია, ჩვეულებრივი, სამეცნიერო კონფერენცია, ოღონდ მაღალი დონის მონაწილეებით.

სხვათა შორის, საქართველოშიც არის "რომის კლუბის ასოციაცია," რომელსაც დები აბაშიძეები უდგანან სათავეში.

- საინტერესოა, რას მიიჩნევს კლუბი კაცობრიობისთვის ყველაზე აქტუალურ პრობლემებად?

- მთავარ პრობლემად განიხილებოდა მოსახლეობის სწარაფი ზრდა, შეზღუდული ბუნებრივი რესურსების ვითარებაში. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დემოკრატიზმის ნაკლებობისა და სიმდიდრის განაწილებაში არსებული უსამართლობის გამო, როგორც ქვეყნებს შორის, ისე მათ შიგნით. აღინიშნა, რომ გლობალური ეკონომიკური განვითარება, გლობალიზაცია, რომელიც წმინდა კაპიტალისტური მოდელით მიმდინარეობს, ვერ აკმაყოფილებს ყველას მოთხოვნებს და ვერ განაპირობებს მდგრად განვითარებას. განვითარება კი ყველას უნდა შეეხოს.

კლუბი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურათა დიალოგისა და რადიკალიზმის (რელიგიური თუ სხვა ფორმით) აღმოფხვრის აუცილებლობას. საერთოდ, კულტურათა ურთიერთობებზე ბევრი იყო საუბარი.

განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოს დაცვის პრობლემა. სამწუხაროდ, იოჰანესბურგის სამიტი, რომელზეც იმედებს ამყარებდნენ, პროგრესული ძალების დამარცხებად აღიქვეს. სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა.

და ბოლოს, უდიდესი ყურადღება ექცევა განათლებას. არა მხოლოდ მის შინაარსს, არამედ ფორმასაც. ხაზი გაესვა, რომ განათლება უნდა იყოს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესი, რომელიც ადამიანებს სწრაფად ცვალებად გარემოსთან შეგუებაში დაეხმარება.

კონფერენციის ერთი დღე დაეთმო ამ გლობალურ პრობლემებს, მეორე კი მთლიანად შავი ზღვისა და კასპიის რეგიონის პრობლემებს მიეძღვნა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც კლუბმა ამ რეგიონზე გაამახვილა ყურადღება.

- რითი აიხსნება რეგიონის მიმართ ამგვარი ინტერესი?

- ეს არის რეგიონი, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ბრუნდება. ყველას აინტერესებს, რა მოაქვს მას თან: ახალი რესურსები, ახალი შესაძლებლობები თუ ახალი პრობლემები? სამწუხაროდ, უფრო მეტად პრობლემებზე გვიწევს საუბარი.

რეგიონით დაინტერესებას მხოლოდ ნავთობი არ განაპირობებს. ეს არის პოლიტიკური არასტაბილურობის მნიშვნელოვანი წყარო, ცივილიზაციათა შეხვედრის ადგილი და, ამავდროულად, დიდ სახელმწიფოთა ინტერესების სფერო. ამიტომ ყველას აინტერესებს, როგორი იქნება რეგიონის მომავალი და როგორ მოხდება აქ კრიზისების მართვა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის, მათ შორის საქართველოს, როგორც პრობლემები, ისე მიღწევები ყველასათვის კარგად არის ცნობილი. ცუდი ამბები სწრაფად ვრცელდება. კავკასიის საოცარი ცოდნა გამოამჟღავნა კლუბის პრეზიდენტმა, იორდანიის პრინცმა ბენ ტალალმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის თითქმის საყოველთაო სიმპათია, რომელიც საქართველოს მიმართ არსებობდა და რომელიც, როგორც ოფიციალურ გამოსვლებში, ისე კერძო საუბრებში, კარგად ჩანდა.

მომეჩვენა, რომ ისინი გადაჭარბებით აფასებდნენ ჩვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ჩვენს მზადყოფნას დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად.

სამწუხაროდ, მოლოდინი არ მართლდება. ერთი მხრივ, ეს გასაგებიცაა. ათი წელი არ არის საკმარისი დრო თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად. თუმცა, წინ გვაქვს ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითი, რომლებმაც საოცარ წარმატებებს მიაღწიეს. ისინი სულ მალე ნატო-ს, ორიოდ წელიწადში კი - ევროკავშირის წევრები გახდებიან.

- დიახ, მათ გარდა, ვერც ერთმა პოსტსაბჭოურმა ქვეყანამ ამის მიღწევა ვერ შეძლო.

- ეს ძალიან საინტერესოა. საჭიროა ამაზე მსჯელობა. ჩვენი პოლიტიკოსები ყველა სატელევიზიო არხზე, პირდაპირ ვთქვათ, აბინძურებენ ეთერს და ყველაფერს მიედ-მოედებიან, იმის ნაცვლად, რომ შემოგვთავაზონ რეალური ანალიზი იმისა, თუ რა გვჭირს და რისი ბრალია ეს ყველაფერი. ძალიან საინტერესო იქნება, გაკეთდეს შედარებითი ანალიზი იმავე ბალტიისპირეთთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან.

ჩვენი მოსახლეობა უფრო მეტს მოელის ჩვენი პოლიტიკოსებისაგან, რომელთაც ყოველ საღამოს ვხედავთ ტელევიზორში. ამ ტელეგადაცემებს ბევრი "ფანჯარაში მტრედიას" ეძახის, მაგრამ მე ცოტა სხვა სახელს დავარქმევდი. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკური ინტელექტი თითქმის არ არსებობს. იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკოსებმა საქმე აკეთონ, მათ პროფესიად ურთიერთბრალდებები აქციეს. ხანდახან ვფიქრობ, ვინმემ ცოტა ნორმალური რამ რომ თქვას, ხალხის უმეტესობა ამას უკვე ვეღარ გაიგებს.

რაც შეეხება ჩემს მოხსენებას, მასში ყურადღება გავამახვილე სამ ძირითად პრობლემაზე, რომელიც, ჩემი აზრით, რეგიონის ქვეყნების წინაშე დგას. ესაა სუსტი სახელმწიფოებრიობა, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და უცხო ძალების არაკონსტრუქციული ჩარევა. კავკასიაში გლობალური ძალები შემოდიან, ეს კი, როგორც დადებით, ისე უარყოფით ძვრებს იწვევს. განსაკუთრებით ნეგატიურია რუსული ნეოიმპერიალიზმის გავლენა.

რაიმე პროგნოზი რეგიონის ან საქართველოს მომავლის შესახებ არ გაკეთებულა, მაგრამ ჩვენი პრობლემების განხილვა ასეთ მაღალ დონეზე უკვე ბევრს ნიშნავს.

- და ბოლოს, რაკი თურქეთში ბრძანდებოდით, მინდა გავიგო თქვენი აზრი თურქეთში 3 ნოემბრის არჩევნებზე, რომელმაც, საერთო შეფასებით, ქვეყნის განვითარებისათვის ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს.

- ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ თურქეთი ძალიან სწრაფად ვითარდება, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ძალზე ნიშანდობლივი იყო ერთი ფაქტი. 29-ში თურქეთის ეროვნული დღე გახლდათ. ტელევიზია მთელი დღე გადმოსცემდა სამხედრო პარადს. როდესაც ჰიმნი სრულებოდა, პრეზიდენტიდან დაწყებული უკანასკნელ კაცამდე, მღეროდა ყველა - რამდენიმე ათეული ათასი კაცი. ეს ამ ერის შესახებ მრავლისმეტყველი ფაქტია. საყურადღებოა ისიც, რომ თურქეთში იქმნება ახალი, უმაღლესი დონის უნივერსიტეტები. ასეთი იქ უკვე ბევრია.

რაც შეეხება არჩევნებს. ყველა, ვისაც ვესაუბრე, ვარაუდობს, რომ ხელისუფლებაში პოპულისტი ისლამისტები მოვლენ. ეს კი სამხედროებთან მაშინვე უთანხმოებას წარმოშობს. ორივე მხარეს დიდი მოქნილობის გამოჩენა დასჭირდება საიმისოდ, რომ კრიზისი აიცილონ თავიდან.

და ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ბილკენტის უნივერსიტეტის ქართველ თანამშრომლებსა და ჩვენს ელჩს თურქეთში - ტარიელ ლებანიძეს.

უცხოეთი

„პოლიტიკური მიწისძვრა„ - დღეს თურქეთში საპარლამენტო არჩევნებია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"მიწისძვრის" მეორე მიზეზი ის გაურკვევლობაა, რომელიც დღევანდელ არჩევნებს ახლავს თან – თურქეთის ტრადიციული პარტიების უმრავლესობას პარლამენტში მოხვედრის თითქმის არავითარი შანსი არ გააჩნია, რადგან ისინი, წინასწარი გამოკითხვებით, საარჩევნო ბარიერად დაწესებული 10 პროცენტის გადალახვას ვერ შეძლებენ.

მესამეც: ეჭვების იწვევს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე რეალური კანდიდატის – "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიის ლეგიტიმურობა, რადგან ეს პარტია ყოფილი ისლამისტური პარტიების ნანგრევებზე აღმოცენდა და მათ იდეოლოგიას იზიარებს. ეს კი თურქეთის სახელმწიფოს საერო ბუნებას ეწინააღმდეგება.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დღევანდელ არჩევნებს (და, უფრო მეტად, მის შესაძლო შედეგებს) სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ "პოლიტიკური მიწისძვრა".

დღევანდელი არჩევნების მთავარი ინტრიგა ისაა, თუ რომელი პარტია შეძლებს 10-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვას. რეალურად ამის კარგი შესაძლებლობა მხოლოდ ორ პარტიას გააჩნია – უპირველეს ყოვლისა, ყოფილი ისლამისტების მიერ შექმნილ "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიას და, აგრეთვე, თურქეთის ყველაზე ხანდაზმულ "რესპუბლიკურ სახალხო პარტიას".

არჩევნებამდე ორიოდე დღით ადრე თურქეთის კონსტიტუციურმა სასამართლომ არჩევნებში ყოფილი ისლამისტების მონაწილეობის ლეგიტიმურობის საკითხი განიხილა, მაგრამ გადაწყვეტილება არ გამოუტანია. სასამართლოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განაჩენს ორი კვირის ვადაში გამოიტანენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისლამისტებმა არჩევნებში კიდევაც რომ გაიმარჯვონ, სასამართლომ მათი შედეგები შეიძლება გააუქმოს და პარტია პარლამენტის გარეთ დატოვოს. ამგვარი "თვითნებობა" თურქეთის პოლიტიკური სისტემის თავისებურებით აიხსნება - ფაქტობრივი ძალაუფლება ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ეკუთვნის, რომელსაც სამხედროები განაგებენ. სამხედროები კი, ტრადიციულად, ვერ ურიგდებიან ისლამისტურ პარტიებს და ცდილობენ, ისინი ხელისუფლებაში არ გააჭაჭანონ.

საარჩევნო ბარიერის გადალახვასთან ახლოს არიან "ნაციონალისტური მოქმედების პარტია" და ქურთი უმცირესობის მხარდამჭერი მემარცხენე კოალიცია. დღემდე ქურთებს არასოდეს მიუღწევიათ წარმატებისათვის ეროვნულ საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ ამჯერად სურათი შეიძლება შეიცვალოს – თურქეთის მთავრობა იმდენადაა ევროკავშირში გაწევრიანებას მოწადინებული, რომ ქურთებით დასახლებულ სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონებში ლიბერალური რეფორმების გატარება დაიწყო. ეს რეფორმები რეგიონში არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებასაც ითვალისწინებს. ქურთებმა შეიძლება ამით ისარგებლონ და პარლამენტში თავიანთი პარტია გაიყვანონ. პარლამენტში ქურთული პარტიის შესვლის შესაძლებლობა შოკურ რეაქციას იწვევს თურქეთის ტრადიციულ პარტიებს შორის.

მეორე პარტია, რომელიც ახლოსაა საარჩევნო ბარიერის გადალახვასთან, თურქეთის "ნაციონალისტური ქმედების პარტიაა". ეს პარტია იმით გამოირჩევა, რომ ქურთული უმცირესობის უფლებების დაცვის სასტიკი მოწინააღმდეგეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ნაციონალისტები პარლამენტში ქურთულ პარტიასთან ერთად მოხვდნენ, თურქეთის საკანონმდებლო ორგანო სკანდალებს და, გარკვეულწილად, პარალიზებას ვერ გადაურჩება.

რაც შეეხება დღეს არსებულ მმართველ კოალიციაში შემავალ პარტიებს – დემოკრატ მემარცხენეებსა და "დედასამშობლოს პარტიას", მათი გამარჯვება უკვე გამორიცხულია – ამ პარტიების რეიტინგის მკვეთრი დაცემა მთავრობაში ფესვგადგმულმა კორუფციამ და არაკომპეტენტურობამ განაპირობა. სხვათა შორის, სწორედ ამით უნდა აიხსნას ისლამისტების წარმატება წინასაარჩევნო ბრძოლის დროს – მათი "სამართლიანობისა და განვითარების პარტია" 2001 წელს შეიქმნა და მისი სახელი ჯერ კიდევ არ უკავშირდება კორუფციას.

დღევანდელი არჩევნების შედეგების მიუხედავად, ახალ მთავრობას ოთხი უმნიშვნელოვანესი საკითხი ექნება გადასაწყვეტი – თურქეთის ეკონომიკის გამოცოცხლება; კვიპროსის საკითხის გადაწყვეტა; ევროკავშირში ინტეგრაციის დაჩქარება და ქვეყნის მონაწილეობა ამერიკა-ერაყის მომავალ ომში. თურქეთის მომავალი მთავრობის შემადგენლობა და პრემიერ-მინისტრის ვინაობა დღეს გაცილებით უფრო ბუნდოვანია, ვიდრე ოდესმე.

თურქეთის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიები და კოალიციები	მოსახლეობის გამოკითხვის წინასწარი შედეგები
"დედასამშობლოს" პარტია (ANAP) - მეთაურობს ყოფილი პრემიერ-მინისტრი მესუთ ილმაზი. პროევროპული და საქმიან წრეებზე ორიენტირებული პარტიაა. მონაწილეობს ახლანდელ სამთავრობო კოალიციაში.	**4.49** პროცენტი
"სამართლიანობისა და განვითარების" პარტია (AKP) – დაარსდა 2001 წელს, ადრე აკრძალული ისლამისტური პარტიების ბაზაზე. პარტიის ლიდერია რეჯებ ერდოგანი. პარტია კონსერვატიული პოლიტიკური კურსით გამოირჩევა.	**28.41** პროცენტი
რესპუბლიკური სახალხო პარტია (CHP) – დენიზ ბაიქალის ხელმძღვანელობით. პარტია 1923 წელს ქემალ ათათურქმა დააარსა. პარტიას ბოლო თვეებში "მეორე სუნთქვა" ფინანსთა პოპულარული მინისტრის - ქემალ დერვიშის მოსვლამ გაუხსნა.	**18.58** პროცენტი
დემოკრატიული მემარცხენე პარტია (DSP) – ახლანდელი პრემიერ-მინისტრის ბიულენთ ეჯევითის პარტია. მონაწილეობს ახლანდელ სამთავრობო კოალიციაში. პარტიიდან წამყვანი პოლიტიკოსების წასვლამ დღევანდელი რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა გამოიწვია.	**3.03** პროცენტი
"ჭეშმარიტი გზის" პარტია (DYP) – მემარჯვენე პარტიაა, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი თანსუ ჩილერი უდგას სათავეში. პარტია საქმიანი წრეების მხარდაჭერას ეყრდნობა.	**5.23** პროცენტი
დემოკრატიული სახალხო პარტია (DEHAP) – სინამდვილეში სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთიანების – ქურთების პარტიის, სოციალ-დემოკრატიული და შრომის პარტიების კოალიციაა.	**9.17** პროცენტი
ნაციონალისტური ქმედების პარტია (MHP) – დევლეთ ბაჰჩელის ხელმძღვანელობით. მტკიცე წინააღმდეგობას უწევს თურქეთის ქურთული უმცირესობის ინტერესების განხორციელებას.	**9.46** პროცენტი

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

კოტე კემულარია: ბანდიტები უდანაშაულო ბიჭებს ქუჩაშიც სცემდნენ

"საკრებულოს წევრობის კანდიდატები იმელში იმ დაჯგუფებამ სცემა, შარშან ელიავას ბაზრობა რომ დაარბია"

ვერიკო თევზაძე

"ორშაბათს საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართება"

"საკრებულოს წევრობის კანდიდატები სხდომათა დარბაზში არ შეუშვეს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს საშვი ჰქონდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, კონსტიტუციის 38-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, ცესკო-ს საჯარო სხდომას დაესწროს. 30-კაციანი ბანდიტური ჯგუფი უდანაშაულო ბიჭებს, ასევე, დეპუტატებს - პეტრე ცისკარიშვილსა და ვანო მერაბიშვილს - იარაღით დასდევდა და ემუქრებოდა: "შუბლს გაგიხვრეტთ, "პადვალში" ჩაგიყვანთ და მიგახრჩობთო". ბანდიტები თავიანთ თავს ნადარეიშვილის დაცვის წევრებად ასაღებდნენ, თუმცა ფორმა არ ეცვათ და ნასვამები იყვნენ", - "ნაციონალური პარტიის" წევრი კოტე კემულარია გუშინდელ პრესკონფერენციაზე ამტკიცებდა, რომ მათ იმელის შენობაში არანაირი შტურმი არ მოუწყვიათ, რომ ეს პროვოკაცია იყო.

"ნაციონალებს" თავიანთ ოფისში ყველაზე მეტად დაშავებული დათო კირკიტაძე ჰყავდათ მიყვანილი. ცხვირშეხვეულმა კირკიტაძემ აგვიხსნა, რომ მას იმ ოცდაათი კაციდან ერთ-ერთმა, საკმაოდ ძლიერი აღნაგობის მამაკაცმა სცემა. **"გუშინ ოპერაცია გამიკეთეს, ცხვირის ძვლები ამომიღეს. ექიმებმა ტვინის შერყევის დიაგნოზი დამიდგინეს, ჯერ ჩემი ფეხზე დგომა არ შეიძლება (20 დღით წოლითი რეჟიმი მაქვს გამოწერილი), მაგრამ აქ იმიტომ მოვედი, რომ ამათ დავხმარებოდი სიმართლის დადგენაში".**

კოტე კემულარია უარყოფს მასმედიით ლონდერ ცაავას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას: **"იმელის შენობაში არც ერთი შუშა არ არის ჩამტვრეული, ის "უნიკალური კარი", რომელზეც ბატონი ცაავა ასე დარდობს, უვნებელია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ყოფილი ლენინის სახელობის მუზეუმის კარი (იმელის დასახელება აქედან მომდინარეობს) ნორმალურ მდგომარეობაში დავტოვეთ და შემდეგ თავად ცაავამ თუ დაამტვრია, არ ვიცი."**

კემულარიას ინფორმაციით, დაჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც აფხაზეთის დაცვის წევრებად აცხადებენ თავს, ამჟამად პროკურატურას ემალებიან, **"მათ სამედიცინო ექსპერტიზასაც აარიდეს თავი. მე თქვენ გეკითხებით, თუ იმელის შენობაში "ნაციონალებმა" შტურმი მოაწყვეს, "მსხვერპლი" რატომ იმალება?"**

"ორშაბათს საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართება", - კოტე კემულარია თბილისის საკრებულოს ამუშავებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს და ფიქრობს, რომ ამ მიღწევაში მასმედიას ლომის წილი მიუძღვის.

არ დაიჯეროთ, რომ სკანდალი დასრულდა!

ვირველი გვერდიდან

როგორც ცესკოს კულუარებში საუბრობენ, ამით მან, ფაქტობრივად, "დაბლოკა" ის პარტიები, რომლებიც ახალი ოქმის გაპროტესტებას კანონით დადგენილი სამი დღის განმავლობაში აპირებდნენ.

სხდომის ჩაშლის შემდეგ თავად ჯუმბერ ლომინაძე "იმელის" შენობიდან გაუჩინარდა. ასე რომ, კითხვა - თუ რატომ მიიღო მან ერთპიროვნული გადაწყვეტილება – უპასუხოდ დარჩა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არჩევნების ოქმის დამტკიცების შემდეგ კომისიის წევრებმა ეს ფაქტი ერთად, "შინაურულ გარემოში" აღნიშნეს. როგორც ამბობენ, ამ თავყრილობას ჯუმბერ ლომინაძეც ესწრებოდა და მას სიტყვაც კი არ დასცდენია უკვე მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

სკანდალი გუშინ ატყდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა სოციალისტური პარტიიდან დენის დავითაშვილმა ცსკ-ს თავმჯდომარის ჯუმბერ ლომინაძის გადადგომა მოითხოვა. მისი მტკიცებით, **"ლომინაძეს ეს განცხადება ცესკოს სახელით არ უნდა გაეკეთებინა და სხდომის დანიშვნის შესახებ ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება არ ჰქონდა, ცესკოს წევრებს კი საკითხის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღიათ".**

"რა გაყალბებითაც ატარებს ლომინაძე ნებისმიერ არჩევნებს და ხელმძღვანელობს ცესკოს, ისეთივე ყალბი განცხადება გაავრცელა მან, რადგან ეს დოკუმენტი ცესკოს წევრებს თვალითაც არ გვინახავს", - განაცხადა დენის დავითაშვილმა.

მის მოსაზრებას კომისიის სხვა წევრებიც ეთანხმებიან.

და ბოლოს: საკრებულოს ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა, შესაძლოა, ახალი სასამართლო პროცესი გამოიწვიოს. საქმე ის გახლავთ, რომ **პარტიის საქმიანობის, რეპუტაციისა და ღირსების შელახვის მოტივით** "სახალხო პარტია" "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საოლქო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

სარჩელი " ღამის კურიერში " სატელეფონო ჩართვის დროს მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხება, როდესაც მან " სახალხო პარტიას" **" ფულით ნაყიდი"** უწოდა, ხოლო " სოციალისტებს" – **" კლოუნები".**

როგორც " სახალხო პარტიის" წარმომადგენელი პაატა კიკვაძე აცხადებს, **"პარტია სააკაშვილისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ითხოვს და არ არის გამორიცხული, მორალური ზარალის ასანაზღაურებლად ფულადი კომპენსაციაც მოითხოვოს".**

მისი თქმით, **"სახალხო" პარტიის სარჩელს, სავარაუდოდ, "სოციალისტებიც" შეუერთდებიან.**

ეკონომიკა

„საქნავთობს„ და „კანარგოს„ ნავთობსაძიებო არეალის გაფართოება სურთ

ნავთობისა და გაზის რესურსების ოპერაციების წარმოებისთვის ჩატარებული ტენდერის შედეგად მიღებულ განაცხადებს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს კომისია სწავლობს. საგულდაგულოდ დალუქულ ყუთში შვიდ სალიცენზიო ბლოკზე მხოლოდ ორი კომპანიის - "კანარგო ნორიო ლიმითედისა" და ეროვნული ნავთობკომპანიის - "საქნავთობის" განაცხადი აღმოჩნდა. 28 ოქტომბერს ჩატარებული ტენდერის შედეგები მიმდინარე თვეში გახდება ცნობილი.

სოფიკო ოხანაშვილი

"ასეთ ტენდერს ჩვენი სააგენტო პირველად ატარებს. ვფიქრობ, ახლა მიღებული გამოცდილებით მომავალში უფრო მეტ კომპანიას დავაინტერესებთ. ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ, ფაქტობრივად, კომპანიებს არჩევანის საშუალებაც არ ჰქონდათ, სულ შვიდი ბლოკი იყო წარმოდგენილი, თუმცა შექმნილი მდგომარეობის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ სხვაგან ჩვენზე უკეთესი პირობები შესთავაზეს", - ასე ახსნა განცხადების სიმცირე ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა გია ითონიშვილმა.

განაცხადებს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის მოადგილეებისაგან შემდგარი კომისია განიხილავს, რომელმაც ტენდერში მონაწილე კომპანიების განაცხადების შესახებ დასკვნები სააგენტოს უფროსს წერილობითი ფორმით ორი, მაქსიმუმ, ათი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს. სააგენტოს უფროსს უფლება აქვს, ყველა განაცხადი უარყოს და უარის მიზეზი არ დაასახელოს. მან გადაწყვეტილება სამი დღის განმავლობაში უნდა მიიღოს. **"კომისია შეისწავლის განაცხადებს, შეადარებს ჩვენს პირობებს. თუ ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ მოდის და კომპანიის მიერ წარმოდგენილი პირობები ჩვენთვის მისაღებია, მაშინ კომპანიებს გამარჯვებულად ჩავთვლით",** - განაცხადა გია ითონიშვილმა, რომელმაც იქვე დასძინა, რომ შემოტანილი განაცხადების უარყოფა ნაკლებადაა მოსალოდნელი, რადგან მათი წარმომდგენი კომპანიები – "კანარგო ნორიო ლიმითედი" და ეროვნული კომპანია "საქნავთობი" ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს დიდი ნდობით სარგებლობენ და უარის მიზეზი მხოლოდ სააგენტოს პირობებთან შეუსაბამობა შეიძლება გახდეს.

"კანარგო ნორიო ლიმითედმა" განაცხადი ორ პატარა ბლოკზე შეიტანა, რომლებიც ადმინისტრაციულად მცხეთის, თეთრი წყაროსა და გარდაბნის რაიონებს განეკუთვნება. პირველი ბლოკის ფართობი 300 კვადრატული კილომეტრია, მეორისა კი 186 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. განაცხადში არ არის მითითებული ჩასატარებელი სამუშაოებისათვის საჭირო თანხა, თუმცა კომპანია იქვე მიუთითებს პროგრამაზე, რომლის თანახმადაც პირველ ეტაპზე ის იღებს ვალდებულებას ასი კილომეტრი ტერიტორიის გეოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევების ჩატარებისა და ერთი საძიებო ჭაბურღილის გათხრის შესახებ. "კანარგო ნორიო ლიმითედი" იტოვებს უფლებას, რომ პირველი ეტაპის შემდეგ, თუ ბლოკმა კომპანიის მოლოდინი არ გაამართლა, კონტრაქტი შეწყვიტოს. განაცხადის თანახმად, პირველი ეტაპი 36 თვეს გასტანს.

რაც შეეხება სააქციო საზოგადოება "საქნავთობს", მან განაცხადი მეათე სალიცენზიო ფართობზე შეიტანა, რომელიც დუშეთის, თიანეთის, ახმეტისა და თელავის რაიონების ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ ბლოკის ფართობი 3200 კვადრატული კილომეტრია. "საქნავთობის" განაცხადში აღნიშნული პროგრამა სამ ეტაპად იყოფა. პირველი ეტაპი, რომელიც ექვსიდან-თორმეტ თვემდე გრძელდება, ტერიტორიის გეოფიზიკურ და გეოლოგიურ შესწავლას ისახავს მიზნად, რის განხორციელებასაც 150 ათასი აშშ დოლარი სჭირდება. მეორე ეტაპი 30 თვეს მოიცავს. ამ დროს ჩატარდება სეისმური კვლევები და ყურადღება ბლოკის სიღრმულ კვლევაზე გამახვილდება. მეორე ეტაპის დროს ჩასატარებელი სამუშაოები ერთი მილიონი აშშ დოლარის ღირებულებისაა. რაც შეეხება მესამე ეტაპს, ის 18 თვე გრძელდება და ერთი საძიებო ჭაბურღილის გათხრასაც ითვალისწინებს. განაცხადის თანახმად, ამ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოებისათვის 3,5 მილიონი აშშ დოლარია საჭირო.

სალიცენზიო ბლოკებს შორის ორი ბლოკი (პირველი ბლოკის ფართობი 2260 კვადრატული კილომეტრია, ხოლო მეორისა 3480 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს) საქართველოს საზღვაო ტერიტორიის განსაკუთრებული ზონის ფარგლებში მდებარეობს, რადგან ბლოკების ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზეც გადის.

ტენდერში გამარჯვებულებთან წარმოებულ მოლაპარაკებაში სამი მხარე მიიღებს მონაწილეობას: ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, საქართველოს ეროვნული ნავთობკომპანია და ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მოლაპარაკებების საფუძველზე განისაზღვრება კონტრაქტის ვადა (მაქსიმუმ, ოცდახუთი წელი) და ხელშეკრულების სხვა პირობები.

მოლაპარაკებებში მონაწილე მხარეებს განსაზღვრული ვალდებულებები და ფუნქციები გააჩნიათ. ეროვნული ნავთობკომპანია თავის თავზე იღებს კომერციულ და საოპერაციო ვალდებულებებს, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ფუნქცია კი, ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილის ირაკლი დადიანის თქმით, ის გახლავთ, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი გამარჯვებულ კომპანიასა თუ კერძო პირს თავისი საქმიანობისა და აღებული ვალდებულებების შესრულებაში. **"ფაქტობრივად, ჩვენი სააგენტო გამოდის მედიატორის როლში სახელმწიფოსა და კომპანიას შორის. ჩვენი ვალია, ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვაში დავეხმაროთ გამარჯვებულებს. ყველა სახის ნებართვას სააგენტო გასცემს",** - განაცხადა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის პირველმა მოადგილემ.

პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სააგენტო გასცემს ლიცენზიას, რომლის თანახმადაც კომპანიას თუ კერძო პირს აქვს უფლება, აწარმოოს ნავთობისა და გაზის ოპერაციები, რაც ნავთობისა და გაზის ძებნა-მოპოვებას, არსებულ ფართზე შენახვასა და გაზომვას ნიშნავს. ირაკლი დადიანის თქმით, მართალია ტენდერში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს - ქართულ თუ უცხოურ კომპანიასა და კერძო პირს შეუძლია, მაგრამ მსურველები გარკვეულ კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ. **"ხელშეკრულება გაფორმდება და ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ პირზე ან კომპანიაზე, რომლებიც წარმოადგენენ დოკუმენტაციას იმის შესახებ, რომ ლიცენზიისა და ხელშეკრულების პირობების დასაკმაყოფილებლად გააჩნიათ საკმარისი ფინანსურ-ტექნიკური შესაძლებლობები და შესაბამისი გამოცდილება",** - განაცხადა ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის პირველმა მოადგილემ და კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი დადიანმა.

თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს „შავი ფულის„ გარეცხვისთვის უჩივიან

ევროკავშირმა ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელი შეიტანა თამბაქოს მწარმოებელი კომპანია R. J. Reynolds -ის წინააღმდეგ და მას სიგარეტის კონტრაბანდაში დასდო ბრალი. პროცესზე მოსარჩელე მხარედ წარმოდგენილია ევროკომისია და ევროკავშირის ათი სახელმწიფო. მათი აზრით, R. J. Reynolds-მა და თამბაქოს ნაწარმის სხვა მსხვილმა მწარმოებლებმა, მათ შორის, Philip Morris-მა, სიგარეტის პარტიები მიჰყიდეს მაფიოზურ სინდიკატებს, რომლებმაც შემდეგ ეს ნაწარმი კონტრაბანდული წესით შეიტანეს ევროპასა და აზიაში.

ექსპერტები ამ გზით ევროკავშირისთვის მიყენებულ ზარალს ასობით მილიონ დოლარად აფასებენ. სასარჩელო განცხადებაში ნათქვამია, რომ მოპასუხემ უმაღლეს კორპორატიულ დონეზე მიიღო სიგარეტის მაფიოზური სინდიკატებისთვის მიყიდვის გადაწყვეტილება.

საპასუხო განცხადებაში R. J. Reynolds-მა ბრალდებებს აბსურდული უწოდა და აღნიშნა, რომ კომპანია თავის ოპერაციებს კანონიერად ახორციელებდა.

ევროკომისიამ შარშანაც მიმართა ნიუ-იორკის სასამართლოს. მაშინ სარჩელი მიმართული იყო Philip Morris-ისა და Japan Tobacco-ს წინააღმდეგ. ევროკავშირის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ეს კომპანიები განგებ აჯერებენ საკუთარი პროდუქციით აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს, რითიც ირიბად ხელს უწყობენ კონტრაბანდის გადადინებას ევროკავშირის ქვეყნებში. ევროკავშირი მოითხოვდა ზარალის ანაზღაურებას. თუმცა, მაშინ ნიუ-იორკის სასამართლომ ევროკავშირის სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

აშშ-ს მთავარი კონტროლიორი სკანდალში გაეხვა

აშშ-ს ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარე ჰარვი პიტი კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პიტმა კომისიის წევრებს არ მიაწოდა ინფორმაცია შტატების აუდიტორულ ფირმებზე სამეთვალყურეო ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნული პიროვნების შესახებ, რომელიც მანამდე დაკავშირებული იყო გაკოტრების პირას მისულ კომპანია U.S. Technologies-სთან. საუბარია დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს ყოფილ თავკაცზე უილიამ უებსტერზე, რომელიც ქვეყნის მთავარი მაკონტროლებლის თანამდებობაზე ახლახანს დაინიშნა. ამ საკადრო გადაწყვეტილებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც მოულოდნელი არ იყო - უებსტერს ხომ, პრაქტიკულად, არანაირი შეხება არ ჰქონია აუდიტორულ საქმიანობასთან. მისი მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ უებსტერს ძალიან გაუჭირდებოდა ამ სფეროში საჭირო რეფორმების გატარება. მაგრამ მის მომხრეს ეიმედებოდათ, რომ დაზვერვასა და სამართალდაცვაში დაგროვილი დიდი გამოცდილება მას საშუალებას მისცემდა, აღეკვეთა ყველა შესაძლო დარღვევა და "ანდერსენის" მსგავსი სკანდალები მისი მმართველობის პერიოდში მაინც არ განმეორდებოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, უებსტერი სკანდალს მაინც ვერ გადაურჩა.

საქმე ისაა, რომ უილიამ უებსტერი მიმდინარე წლის ივლისამდე U.S. Technologies-ს აუდიტორულ კომიტეტს ხელმძღვანელობდა. ამ კომპანიის ხელმძღვანელის წინააღმდეგ ამჟამად ძიება მიმდინარეობს. აშშ-ს სამართალდამცველი ორგანოები მას თაღლითობაში ადანაშაულებენ. უებსტერის წინააღმდეგ სკანდალის აგორებას ხელი შეუწყო ერთი შეხედვით უწყინარმა ბიოგრაფიამ, რომელიც ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიის წევრებს უებსტერის დანიშვნისას მიაწოდეს. მასში U.S. Technologies-ს აუდიტორულ კომიტეტში მუშაობის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი.

უებსტერი რესპუბლიკელი გახლავთ. სანამ 1987 წელს, რეიგანის ბრძანებით, დაზვერვას ჩაუდგებოდა სათავეში, იგი გამოძიების ფედერალურ ბიუროს ხელმძღვანელობდა. განათლებით უებსტერი იურისტია. დემოკრატები ირონიულად შეხვდნენ უებსტერის დანიშვნას და ეს წმინდა პოლიტიკურ აქტად მონათლეს. საქმე ისაა, რომ უებსტერი ფასიანი ქაღალდების კომისიის აღმასრულებელმა საბჭომ დანიშნა, რომლის ხუთი წევრიდან სამი რესპუბლიკელია. სწორედ მათი მხარდაჭერით გავიდა დაზვერვის ყოფილი შეფი.

რატომ უჭირთ ნავთობკომპანიებს, როცა ნავთობი ძვირდება

მას შემდეგ, რაც ვაშინგტონი ერაყის წინააღმდეგ სამხედრო დარტყმის განხორციელებაზე ალაპარაკდა, ნავთობის ფასებს ერთ ნიშნულზე ველარაფერი აჩერებს. "შავი ოქროს" ბაზარი ეარყთან და, საერთოდ, არაბულ სამყაროსთან დაკავშირებით გაკეთებულ ნებისმიერ განცხადებაზე მწვავედ რეაგირებს. ვრცელდება ცნობა, რომ, ბაღდადზე დარტყმის შემთხვევაში, ოპეკის რამდენიმე ქვეყანა ემბარგოს გამოაცხადებს და საწვავის ფასიც მაშინვე "ავარდება", რაც მთელ საქმიან სამყაროს აპანიკებს. ნავთობი ხომ ერთ-ერთი უმთავრესი ნედლეულია და მისი გაძვირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინფლაციას იწვევს.

თორნიკე შარაშენიძე

ამ ვითარებაში, წესით, ნავთობკომპანიები მაინც მშვენივრად უნდა მუშაობდნენ, მაგრამ რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მათი საქმეებიც არ მიდის კარგად. წამყვანი კომპანიების მოგებები მკვეთრად დაეცა და ყველა კრიზისიდან გამოსვლაზე ფიქრობს. პირველი, ვინც სანავთობო ბაზარი შემაშფოთებელი განცხადებით შეაწრიალა, "ბრითიშ პეტროლიუმი" იყო. მსოფლიოში სიდიდით მეორე ნავთობგიგანტის მოგებები ბოლო სამი თვის განმავლობაში 13 პროცენტით დაეცა და კომპანიის აქციები ბოლო 4 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ მაჩვენებელზე ჩავიდა. ჩავარდნა განიცადა "ბრიტიშ პეტროლიუმის" საქმიანობამ როგორც ნავთობის, ასევე ბუნებრივი გაზის სფეროში. შედეგად, კომპანია აპირებს მნიშვნელოვნად შეამციროს სამუშაო ადგილები ევროპის უდიდეს გაზისა და ნავთობის ტერმინალზე - სალომ ვოუზე. დადის აგრეთვე ხმები, რომ "ბრიტიშ პეტროლიუმი" უარს იტყვის ერთ-ერთი გაზსადენის პროექტის განხორციელებაზე, რომელსაც ადრე მის გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

"ბრიტიშ პეტროლიუმმა" ეს შედეგები გლობალურ ეკონომიკურ ჩავარდნას დააბრალა: კრიზისის პირობებში მომხმარებლები ხომ ნაკლებად ეტანებიან საწვავს და ენერგოკომპანიებიც ზარალს ნახულობენ. თუმცა, ჩანს, კომპანიის ხელმძღვანელობამ წარუმატებლობის მიზეზი საკუთარ თავშიც დაინახა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გადააყენეს ნავთობგიგანტის მთავარი ფინანსური ოფიცერი ჯონ ბუქენენი. მის ადგილს აზიური ოპერაციების შეფი ბაირონ გროტი დაიჭერს.

თავისი წარუმატებლობის ასახსნელად განსხვავებული არგუმენტაცია მოიყვანა მსოფლიოს უდიდესმა ნავთობკომპანიამ "ექსონ მობილმა." მან მოგებათა 41-პროცენტიანი დაცემა 11 სექტემბრის შემდეგ ავიასექტორში შექმნილ მძიმე მდგომარეობას დააბრალა. მოგეხსენებათ, ავიაკომპანიათა უმრავლესობამ ტერაქტების შემდეგ მნიშვნელოვნად შეამცირა რეისების რაოდენობა და შესაბამისად იკლო საავიაციო საწვავზე მოთხოვნილებამ. გარდა ამისა, როგორც "ექსონ მობილის" ხელმძღვანელობა აღნიშნავს, ნაკლები რაოდენობით იყიდება საავტომობილო ბენზინი, რადგან აშშ-ში გამეფებულმა კრიზისმა ბევრი აიძულა, ნაკლები იაროს მანქანით, ბევრს კი გადაადგილების ამ საშუალებაზე საერთოდ ათქმევინა უარი.

ზოგადად, კრიზისი, ძირითადად, ამერიკულ კომპანიებს შეეხო. "ექსონ მობილზე" გაცილებით მწვავედ იგი საკუთარ თავზე "შევრონტექსაკომ" იწვნია. იგი ერთადერთია ნავთობგიგანტებიდან, რომლის მოგებაც არამცთუ დაეცა, არამედ, საერთოდ, წაგებაში "გადავარდა". "შევრონტექსაკომ" ბოლო კვარტალში 900 მილიონი დოლარი იზარალა და შოკში ჩააგდო მთელი ენერგოინდუსტრია. ამ კომპანიის არგუმენტაცია, დაახლოებით, ისეთივე იყო, როგორიც "ექსონ მობილისა," იმ განსხვავებით, რომ მან თავისი კრახი ბენზინით მოვაჭრე ფირმა "დაინერჯიში" ჩადებული წარუმატებელი ინვესტიციითაც ახსნა.

სპეციალისტთა აზრით, შექმნილ ვითარებაში საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება ანგლო-ჰოლანდიური გიგანტი "შელი." მართალია, მისი მოგებები 17 პროცენტით დაეცა (უფრო მეტით ვიდრე თავისი ბრიტანელი კონკურენტის - "ბრიტიშ პეტროლიუმისა"), მაგრამ, სამაგიეროდ, "შელი" არ ფიქრობს არანაირ შემცირებებსა და პროექტების დახურვაზე, რაც მოცემულ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია. მით უმეტეს, რომ სპეციალისტები ამ კომპანიას უფრო დიდ წაგებებს უწინასწარმეტყველებდნენ, ვიდრე მან ნახა. საერთო აზრით, "შელი" ყველაზე უკეთ უმკლავდება ხოლმე კრიზისებს. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ეს კომპანია არავის შეეკრა 90-იანების ბოლოს ატეხილი ციებ-ცხელების დროს (მაშინ ოპეკმა მეტად მოუფიქრებლად გაზარდა ნავთობმოპოვება, რამაც კატასტროფულად დასცა საწვავის ფასები და ენერგოკომპანიები უმძიმეს დღეში ჩააგდო). იმხანად "ამოკო" "ბრიტიშ პეტროლიუმმა" ჩაყლაპა, გაერთიანდნენ "ექსონი" და "მობილი," "შევრონი" და "ტექსაკო." ყველა გაერთიანებას სამუშაო ადგილების შემცირებები მოსდევდა ხოლმე, რაც კომპანიათათვის დიდი შვება იყო, მაგრამ "შელს" ეს არ დასჭირვებია.

მიუხედავად ამისა, მომავალს დიდი ოპტიმიზმით არც ეს კომპანია უყურებს. **"სიტუაცია ბუნდოვანია,** - განაცხადა "შელის" წარმომადგენელმა, - **მართალია, გადაუმუშავებელი ნავთობი ძვირია, მაგრამ, სამაგიეროდ, მოთხოვნილების დაცემის გამო, ნავთობპროდუქტების ფასები დაბალია და ჯერჯერობით ამ მხრივ რაიმე ცვლილება არ შეინიშნება."**

ევროსასამართლომ რუსეთს ბოდიში მოუხადა

საქართველოში დაკავებული ჩეჩნების ექსტრადიციის შეჩერების საქმეზე ევროსასამართლოს მიერ რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილი საპასუხო შეტყობინება სტრასბურგმა ნაჩქარევად შეაფასა.

ევროპის სასამართლოში რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის, პაველ ლაპტევის ინფორმაციით, ევროსასამართლომ, რუსეთის ხელისუფლებისადმი გამოჩენილი არაკორექტულობის გამო, ოფიციალური წერილით ბოდიში მოიხადა. ლაპტევის განცხადებით, მართალია, წერილის ავტორი არც ევროსასამართლოს თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე არ გახლავთ (მას ხელს აწერს სასამართლოს აპარატის მეორე დონის ჩინოსანი), მაგრამ ფაქტი, რომ სტრასბურგმა რუსეთის ხელისუფლებას ბოდიშის წერილი გაუგზავნა, მრავლისმეტყველია. **"ეს წერილი ევროპის სასამართლოს მიერ გადადგმული პირველი პატარა ნაბიჯი და იმის ნიშანია, რომ საქმე, ევროპული სტანდარტების მიხედვით, სამართლიან დასასრულს ჰპოვებს. წერილი იმედს იძლევა, რომ ევროსასამართლოს გადაწყვეტილება ჩეჩენთა ექსტრადიციის შეჩერების შესახებ შეიცვლება,"** – განაცხადა პაველ ლაპტევმა.

ევროსასამართლოს წერილის შესახებ ჯერჯერობით არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ ორთაჭალის ციხეში მყოფი ჩეჩენი პატიმრების ქართველი ადვოკატები. **"ამ ინფორმაციის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარია, რატომ უნდა მოეხადა ბოდიში ევროსასამართლოს რუსეთის ხელისუფლებისთვის. ალბათ, რუსეთის მიერ გაგზავნილ რომელიმე შეკითხვაზე, სიჩქარის გამო, არასწორი პასუხი გააგზავნეს და ერთ რომელიმე, კონკრეტულ უზუსტობაზე ახლა გასცეს პასუხი. ევროსასამართლოს საქართველოში გამოგზავნილ რეკომენდაციაში ცვლილება არ შეუტანია და საქმის შესწავლაც ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს. სწორედ გუშინ მივიღე საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგიდან გამოგზავნილი მორიგი დოკუმენტები. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ რუსეთის პრესამ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა,"** – განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ერთ-ერთი ჩეჩენი ტუსაღის ადვოკატმა სევდია უგრეხელიძემ.

"გადაუდებელ ღონისძიებათა" ნუსხაში შეტანილ ჩეჩენთა საქმის განხილვას ევროსასამართლო რამდენიმე კვირაში დაიწყებს. 7 ნოემბერი - სტრასბურგის მიერ დაწესებული ის ბოლო ვადაა, როცა მოდავე მხარეებმა – რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ და მომჩივან ჩეჩენთა ადვოკატებმა ევროსასამართლოს დაგზავნილ დოკუმენტაციაზე ამომწურავი პასუხი უნდა ჩააბარონ.

მოკლედ

მოსკოვი. მოსკოვის თანამგზავრი ქალაქის - დოლგოპრუდნის პროკურატურა ატარებს სამსახურებრივ გამოძიებას მილიციის მიერ ამას წინათ დაკავებული აზერბაიჯანელის დაღუპვასთან დაკავშირებით, - განაცხადა დოლგოპრუდნის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელმა.

მისი ინფორმაციით, ხუთშაბათს რაიონში ჩაატარეს საპასპორტო რეჟიმის შემოწმების ოპერაცია, დააკავეს 83 ადამიანი, რომლებიც მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს. ერთ-ერთი მათგანი, აზერბაიჯანის მოქალაქე გულის უკმარისობით გარდაიცვალა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

კიევი. სატელეფონო ბარათისა და საკუთარი მოხერხებულობის წყალობით, უკრინელმა ჰაკერმა შეძლო კავშირის არხის გახსნა, რომლითაც სარგებლობდნენ მეხანძრეები და მილიცია, რის შედეგადაც უფასოდ რეკავდა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. უკრაინის ქალაქ მოგილევ-პოდოლსკის მკვიდრი ქუჩის ტაქსოფონიდან რეკავდა გერმანიაში, საქართველოსა და რუსეთში.

დამნაშავის დასადგენად უკრაინელმა ნესრიგის დამცავებმა კონტროლზე აიყვანეს ქალაქის ყველა სატელეფონო ავტომატი და თაღლითი მორიგი სატელეფონო ზარის დროს დაიჭირეს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციელებმა 39 წლის ქალი, დიდი ოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე, მეტრო "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

შსს-ს პრესცენტრის ინფორმაციით, გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს თანამშრომლებმა ზესტაფონელი ირინა მაკარიძისგან და, ასევე, მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი ოდენობით (15,5 გრამი) ჰეროინი. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

თბილისი. აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ჩეჩენმა ლიდერებმა მტკიცედ და ერთმნიშვნელოვნად უნდა დაგმონ ტერაქტები და შეწყვიტონ კავშირები ტერორისტულ დაჯგუფებებთან.

ამის შესახებ ვაშინგტონში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მოადგილემ ფილიპ რიკერმა განაცხადა.

მან აღნიშნა, რომ აშშ-ს ადმინიტრაცია გამუდმებით ადევნებს თვალყურს ტერორისტულ საქმიანობას მთელ მსოფლიოში და ამ კონტექსტში უკვე განიხილა ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაში ჩეჩნური დაჯგუფებების შეტანის საკითხი.

რიკერის თქმით, ამავე კონტექსტში განიხილავს ბუშის ადმინისტრაცია ჩეჩენი საველე მეთაურის შამილ ბასაევის გუშინწინდელ განცხადებას მოსკოვის 23-26 ოქტომბრის ტერაქტის ორგანიზების შესახებ. **ინტერ-პრესი"**

სამართალი

„ლოკომოტივის„ სტადიონი დაუდევრობის გამო ჩაბნელდა

პირველი გვერდიდან

"ლოკომოტივის" ჩაბნელებული სტადიონი.

"სხვადასხვა უწყებებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა, ფაქტობრივად, დაასრულა ექსპერტიზის ჩატარება. ჯერჯერობით საბოლოო დასკვნა არ დაგვიწერია, მაგრამ, წინასწარი მონაცემებით, თავისუფლად შემიძლია თქმა, რომ დენის გათიშვა სტადიონზე თურქი სპეციალისტების მიერ დამონტაჟებულმა ტრანსპორმატორმა გამოიწვია – ტრანსფორმატორი არ იყო სრულყოფილად დამონტაჟებული, იგი გაუმართავი აღმოჩნდა. დღეს ხელახალი ექსპერიმენტი ჩავუტარეთ სტაბილიზატორსაც, რომელიც ასევე გაუმართავი იყო.

ექსპერტიზის მსვლელობისას დენის გათიშვის სხვა ტექნიკური მომენტებიც აღირიცხა: გენერატორი არ მუშაობდა ავტომატურ რეჟიმზე და არ უნდა ყოფილიყო დამონტაჟებული დახურულ სივრცეში. ერთი სიტყვით, სტადიონის თანამშრომელთა მიერ დაშვებული წვრილ-წვრილი ტექნიკური ხასიათის დარღვევები მრავლადაა, რომელთა ერთობლიობამაც დენის გათიშვა გამოიწვია. თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც უცხოელი სპეციალისტების მიერ არასრულყოფილად დამონტაჟებული ტრანსფორმატორი გახლდათ," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს უფროსმა მაია ნიკოლეიშვილმა.

მატჩის ჩაშლის დღესვე დაილუქა "ლოკომოტივის" სტადიონის ტრანსფორმატორი, რომელზეც, როგორც გაირკვა, იმ საღამოს სამი ალტერნატიული დენის წყარო იყო მიერთებული. ენერგოსპეციალისტებმა დეტალურად დაათვალიერეს და შეისწავლეს სტადიონის ენერგომომარაგების ტექნიკა, შეამოწმეს ტრანსფორმატორის სათითაო დეტალი და საბოლოოდ გაარკვიეს, რომ სიბნელის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სტადიონის ელექტროგამანაწილებლის კვების ბლოკი აღმოჩნდა, რომელმაც ვერ გაუძლო დატვირთვას და მწყობრიდან გამოვიდა.

მაია ნიკოლეიშვილის მიერ ხელმოწერილი დასკვნა უშიშროების სამინისტროს უახლოეს დღეებში გადაეცემა. ექსპერტთა დასკვნის შემდეგ გამოძიება საქმისთვის კვალიფიკაციის შეცვლაზე იმსჯელებს.

რუსი მესაზღვრეები ირწმუნებიან, ქართველები - უარყოფენ

"საქართველო-რუსეთის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, საქართველოს ტერიტორიის სიახლოვეს, ჩეჩენი ბოევიკები არიან გამაგრებული. ბოევიკები საქართველოს საზღვრის გადაკვეთისა და რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლისთვის ემზადებიან", – ასეთი ინფორმაცია გაავრცელეს გუშინ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა ("ნტვ", "გაზეტა.რუ"). რუსების მტკიცებით, 20-კაციან შეიარაღებულ ბანდიტურ ჯგუფს ვინმე მუჰამედ კურამაგომედოვი ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე დაღესტანში ცხოვრობდა. რუსი მესაზღვრეები ირწმუნებიან, რომ მუჰამედ კურამაგომედოვის შეიარაღებული ბანდა ტერორისტულ-დივერსიული აქტების განხორციელებას გეგმავს არა მარტო ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, არამედ სხვა რეგიონებშიც.

ვლადიკავკაზელი მესაზღვრეები საზღვრების გამაგრებასა და დამატებითი ძალების მობილიზებაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ ბოევიკთა ბანდიტური დაჯგუფების წევრები, შესაძლოა, ლტოლვილობის დამადასტურებელი ყალბი საბუთებით მოძრაობდნენ. "დაღესტნის საზღვრის მონაკვეთი გამაგრებულია და დამატებითი სასაზღვრო ძალები, სამხედრო ძალებთან ერთად, აკონტროლებენ საზღვარს", – აცხადებენ მოჰამედ კურამაგომედოვის რაზმის გამოჩენით შეშინებული რუსი მესაზღვრეები.

"24 საათთან" საუბრისას საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ რუსი მესაზღვრეების მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესახებ არაფერი იციან, რადგან რუს კოლეგებს მათთვის ოფიციალურად არ მიუმართავთ. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტი პროვოკაციას არ გამორიცხავს.

"მას შემდეგ, რაც ჩვენმა უწყებამ რამდენიმე თვის წინ საქართველო-რუსეთის-საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე შეიარაღებული ჩეჩნები დაიკავა, ქართველ მესაზღვრეთა კონტროლი დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მონაკვეთებზე გაძლიერდა. კიდევ უფრო გამაგრდა საზღვრის ეს ტერიტორიები მას შემდეგ, რაც რუსმა ჩინოვნიკებმა ცრუ, პანიკური და პროვოკაციული განცხადებები გააკეთეს. ერთი სიტყვით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთლიანი რესურსი რუსეთ-საქართველოს საზღვარზეა გადასროლილი. ქართველ მესაზღვრეებს მუჰამედ კურამაგომედოვის შეიარაღებულ ბოევიკთა ბანდიტური დაჯგუფება იქ ჯერჯერობით არ უნახავთ. დასაშვებია, გავრცელებული ინფორმაცია პროვოკაცია იყოს, რაც სიტუაციის დაძაბვას ემსახურება," – განაცხადა ჩვენთან საუბრისას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესცენტრის ხელმძღვანელმა შალვა ლონდარიძემ.

ფოსტა

რა ქნას უხელფასო, უპენსიო ხალხმა?

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ქალაქ თბილისის მერს ბატონ ვანო ზოდელავას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ ავთანდილ ჯორბენაძეს

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ლევან კახაძეს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერს, ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარეს შ. ნათელაშვილს

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

ქ. თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს ბატონ გურამ გაბუნიას

მეტროპოლიტენის სადგურებსა და მატარებლებში ხელით მოვაჭრეთა თხოვნა

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ უმუშევრად, უპენსიოდ დარჩენილმა ხალხის ნაწილმა, მეტროპოლიტენი თავიანთ საარსებო წყაროდ გაიხადა, რაც კანონის ენით, ყოვლად დაუშვებელია. მაგრამ რომელ კანონზე შეიძლება ელაპარაკო უმუშევრად, უხელფასოდ დარჩენილ ხალხს, როცა ხელფასი საარსებო წყაროზე ბევრად დაბალია და იმ მცირესაც ვერ ღებულობენ თავის დროზე; რომელ კანონზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პენსიონერებსა და მარტოხელა პენსიონერებს 14 ლარი აქვთ დანიშნული და იმასაც ვერ ღებულობენ. ნუთუ შეიძლება 14 ლარით ადამიანის არსებობა?

თუ დასაშვებია უმუშევრობა, თუ დასაშვებია უხელფასობა, უპენსიობა, ხელფასისა და პენსიის სიმცირე და ამ მცირედის მიუღებლობაც კი - თვეობითა და წლობით, მაშინ მეტროპოლიტენში წვრილმანი ვაჭრობაც დასაშვებია, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ჩვენ ეს!

რა ქნას ულუკმაპუროდ დარჩენილმა ხალხმა, როგორ დააღწიოს თავი შიმშილით სიკვდილს?!

ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ სამუშაო ადგილებით ხალხის უზრუნველყოფა თქვენ არ შეგიძლიათ, არც ხელფასებისა და პენსიების გაზრდა შეგიძლიათ, მაგრამ კიდევაც რომ გაზარდოთ ხელფასები და პენსიები, საარსებო წყაროს მაინც ვერ მიუახლოვდება, ამიტომაც ჩვენ არ გთხოვთ, რისი გაკეთებაც თქვენ არ შეგიძლიათ, ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოგვცეთ უფლება, ჩვენი თავი და ჩვენი ოჯახები გადავარჩინოთ შიმშილით სიკვდილს!

გავკადნიერდებით და გეტყვით, რომ თქვენი როდია მეტროპოლიტენი ბატონებო: ე. შევარდნაძე, გ. გაბუნია, ვ. ზოდელავა. ჩვენია, ჩვენი!

მეტროპოლიტენი ხალხისაა და ხალხმა უნდა გამოიყენოს!

ჩვენ უნდა გაგვატაროს, ომის დროს შეგვიფაროს, გაჭირვების დროს კი - უნდა დაგვაპუროს; თქვენ მხოლოდ ზედამხედველობა გევალებათ, მაგრამ ვერაფერი წესრიგი გაქვთ, გაავსეთ სავაჭროებით და ჩვენ იმისათვის გვდევნით, რომ თქვენ გახსნილ სავაჭროებს შეუწყოთ ხელი.

ჩვენი თხოვნა ეხება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს და არა მარტო მას! მოვითხოვთ: ზემოჩამოთვლილმა ხელმძღვანელი თანამდებობის პირებმა, გამოთქვან თავიანთი აზრი!

თქვენ ვალდებული ხართ, ჯერ ხალხი უზრუნველყოთ სამუშაოთი, მისცეთ ხელფასი, პენსია საარსებო დონეზე, მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ, აუკრძალოთ ხალხს მეტროში წვრილმანი საქონლით ვაჭრობა!

აქვე გვინდა გითხრათ ის, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის - რუსეთშიც კი, სადაც ხალხის ცხოვრების დონე გაცილებით უკეთესია, არ არის აკრძალული მეტროპოლიტენში ვაჭრობა; მაშ რაშია საქმე? თუ იქ შეიძლება, ჩვენთან რისთვის კრძალავთ? გიმეორებთ... მეტროპოლიტენი ჩვენია და არა თქვენი, მაგრამ ჩვენ ქონებას თქვენ ხმარობთ, ჩვენ კი გინდათ შიმშილით დავიხოცოთ, რასაც არც ერთ შემთხვევაში არ დავუშვებთ!

გახსოვდეთ, რომ ყოველგვარი კანონი და ძალა უძლურია შიმშილთან!!!

მეტროპოლიტენის სადგურებსა და მატარებლებში ხელით მოვაჭრეთა არმია (ხელს აწერს 38 პირი).

ზემოთ დასახელებულმა ხელმძღვანელებმა მოგვცეს პასუხი!

მოვითხოვთ, აგრეთვე, საქართველოს ყველა მოქალაქემ გამოთქვას თავისი აზრი!

პირადი დრამა ჭირისუფლების გარეშე

ციური გარუჩავა

ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების გენერალური დირექტორი

რა სულელი ვარ, ღმერთო, რა სულელი ვარ... მოდი და დააჯერე ვინმე, რომ ჩემი ლამის ფსიქოზური მდგომარეობა ჩემივე გულუბრყვილობისა და მომავლის რწმენის ბრალია...

დღევანდელი მასმედიის ერთმა ტიპურმა წარმომადგენელმა დამამშვიდა - ხელგაწვდილი ყოფნა ხომ ღვთის მადლი და დიდი ღირსებაა... რა კარგად შეუსისხლხორცებია ქრისტიანული მორალი?! რა კარგად გაუგია ყოველივე და საკუთარ აუდიტორიასაც ავტორიტეტულად აგონებს მათხოვრობის სიდიადისა და უზენაესი ნიჭის შესახებ.

ფეხით მივუყვები სანაპიროს ჩემი სახლისკენ, ძველი უბნისკენ. მთელი სხეული მიკანკალებს და ღრიალი მინდა. ღამის სანაპირო ერთმანეთზე გადაბმული რესტორნებითაა განათებული - მხიარულობს, ღრეობს, ერთობა ჩემი ღატაკი და უქონელი თბილისი. არა, არა მშურს, ღმერთმა დამიფაროს... უბრალოდ მიკვირს და მაინტერესებს: ვინ არის ეს ხალხი? მე - ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების გენერალური (გენერალური!) დირექტორი ვარ და თუ ვინმემ არ მიმიწვია, აზრადაც არ მომივა რესტორნის კართან მისვლა. აუუ, რა ხანია, ასეთი რამ აღარ ხდება ჩემს ცხოვრებაში... კარდაკარ ვიარე, ვის არ მივაკითხე, ვის არ ვეხვეწე, ვის არ მივწერე და ერთი აი, ამ ყველაზე პატარა რესტორნის ერთი ღამის შემოსავლისოდენა თანხაც კი ვერ ვიშოვე, კონკურსი რომ ჩამეტარებინა. რითი აღარ შევაბრალე და შევავედრე მომავალი თაობა მავანს და მავანს... ნერვი ვერ შევუტოკე კაციშვილს. ნერვს ვინ ჩივის, უბრალოდ ვერ გავაგებინე ვერავის - საერთოდ რა საჭიროა, კლასიკური მუსიკა, ნიჭიერ პატარებზე ზრუნვა, მომავალზე ფიქრი, ზოგადად, კულტურა და განათლება... ვერ გავაგებინე.

იერიშით (პირდაპირი და ზუსტი მნიშვნელობით) მოვიპოვე თბილისის მერიის კულტურის სამმართველოდან ორგანიზაციის კუთვნილი გროშები; საკუთარ ქალიშვილს ოჯახის დანაზოგი თანხა წავართვი და ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო კონკურსი მაინც გაიმართა!

იმდენი სინდისიც კი არ ეყო თუნდაც ერთ კაცს, ვისაც ეს ეგებოდა - დასწრებოდა კონკურსს, ან კარგი ეთქვა, ან, ჯანდაბას, ავი მაინც გაემეტებინა. მოსულიყო, ენახა - იქნებ, შევჭამე სახელმწიფო თანხები...

ჯანდაბას ის, რომ პატარებმა არც კი დაისვენეს და მთელი ზაფხული კონკურსისთვის ემზადებოდნენ;

ჯანდაბას ის, რომ გაცხარებული საარჩევნო კამპანიის დროს, მომავალში დახმარების იმედით, ისევ ამ პატარებმა და მათმა უფროსმა თაობამ დიდი თავმოსაწონი კონცერტი გაუმართა (უფასოდ) მოქალაქეთა კავშირს გამოქცეულ დღევანდელ "დემოკრატებს";

ჯანდაბას, კონკურსისათვის მზადყოფნაში პროფესიონალი ორკესტრი;

კარგად ბრძანდებოდეს ევროპის ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა ფედერაციის ავტორიტეტული წარმომადგენლობა (ამ ფედერაციის წევრები ჩვენც ვართ), რომელიც აღფრთოვანებული დარჩა პატარა ვირტუოზებით და დიდ პატივად და საამაყო ფაქტად მიიჩნია ჩვენი (ქართველების) ფედერაციაში ყოფნა;

ძვირფასო მშობლებო, - რა გგონიათ, მოვარდებოდა ვინმე ცნობილი მუსიკოსი და ვენებს გადაიხსნიდა სიხარულით - ეს რა თაობა გვეზრდებაო? თუ ის იფიქრეთ, ვინმე ბიზნესმენი თავის აგენტებს გამოგზავნიდა - ერთი მომავალი დიდოსტატი შემირჩიეთ, რომ დავაფინანსო და ქვაზე დადებულ სიკეთეს დაველოდოო? შეგეშალათ, აქ, ამ ქვეყანაში "ხვალეზე" არავინ ფიქრობს. აქ, ამ ქვეყანაში მხოლოდ დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ;

ჯანდაბას, ჩემი შრომა და წვალება, მაგრამ...

რწმენას რა მოვუხერხო!

როგორ შევეგუო იმ კატასტროფულ რეალობას, რომ პროფესიონალიზმი დღეს ზერელე ამბიციამ შეცვალა? როგორ დავიჯერო, რომ ძვირიანი კლიპებით გაფერადებული და კომპიუტერით დამუშავებული ცეკვა-თამაშ-სიმღერა რაიმე ღირებულებას წარმოადგენს? როგორ ვაღიარო ჩემი ნიჭიერი და სათაყვანებელი ერის სრული გამოთაყვანება?!

კი არ ვედავები, ვეკითხები ჟურნალისტებს: ნუთუ კაცი უნდა მოვკლა ან ახალშობილი გადავაგდო სანაგვეზე, რომ თქვენი ინტერესი დავიმსახურო? ნუთუ ამ პატარების ბუმბერაზი შრომა და ნერვები პაწაწინა ინფორმაციის ან სატელევიზიო სიუჟეტის ღირსი არ იყო. ხალხო, გაიგეთ, რომ სიკეთეზე თუ არ წერეთ, ამ გაზეთებს არქივში რომ წააწყდება ვინმე წლების მერე, იფიქრებს - საქართველოში მხოლოდ კლავდნენ, აუპატიურებდნენ და ერთმანეთს ჭამდნენო. თუმცა, ასეცაა... თქვენ რაღას გერჩით?

სავანეში სკოლა დაენგრათ და ოთხასი ბავშვი ვაგონებში სწავლობსო... სახელმწიფოს ელოდება ამ საცოდავი ოთხასი ბავშვის ორჯერ მეტი უქნარა მშობელი - ელოდება, როდის მოვა თავისივე არჩეული უქნარა მთავრობა და უფასოდ აშენებულ სკოლაში უფასოდ ასწავლის მათ შვილებს. ამ დებილმა სახელმწიფომაც ვერა და ვერ აუხსნა თავის ხალხს, რომ "უფასო" ნიშნავს ისევ თითოეული ჩვენგანის შრომითა და გარჯით მიღწეულ მონაპოვარს; შენმა შვილმა რომ უფასოდ ისწავლოს და იმკურნალოს - შენ უნდა იმუშაო, შენ უნდა გაანძრიო დამბლადაცემული ხელი. ამხელა სოფელი ერთ პატარა სკოლას თვითონ ააშენებდა და უკეთეს სატელევიზიო გადაცემას მოამზადებდა ყველას გულის გასახეთქად, კიდევ ერთხელ დაიკვეხნიდა დიდი აკაკის თანასოფლელობას. სამაგიეროდ, ახლა მიზეზი აქვთ ახალ-ახალი უწიგნურებისა და უვიცების გასამრავლებლად.

ნუთუ ვცდები და ცილს ვწამებ ვინმეს?!

მაგრამ, დღევანდელი ჩემი განწყობა ხომ უკვე ამგვარი მიზეზ-მიზეზებით წამოჩიტულმა საზოგადოებამ შექმნა?! იმ უფასო სკოლაში უხელფასო მასწავლებლის მიერ "აღზრდილ" მოხელეს არ ესმის არანაირი დიდი ეროვნული პრობლემისა და ჩემი ახირება ჰგონია კონკურსის იდეა. თავისი გადმოსახედიდან მიყურებს და სადღაც გულში ალბათ ვეცოდები კიდეც, რომ მე დამატებით სტიპენდიებიც კი დავუნიშნე კონკურსის მონაწილეებს და სახლში წასასვლელი 50 თეთრი არ დავიტოვე... ამისთანა საქმით ხალხი ფულს შოულობს. საერთოდ წარმოუდგენელია მისთვის ჩემი ტკივილი და ახლებურად უმუშავებს წართმევა-გაგლეჯვაზე გამეცადინებული გონება - ახლა (ეს თორმეტი წელია გრძელდება) იმაზე ფიქრობს, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების "უმაქნისი" შენობა რაიმე მაქნისად აქციოს - ან სასტუმროდ, ან სხვა კომერციულ ფართად, ან რამედ... ოღონდ, რა თქმა უნდა, არამც და არამც განათლებისა და ღატაკი (უშემოსავლო) კულტურის კერად.

თუ თავის შეცოდება გამომივიდა - შეგეშალათ!

ვინც ჩემს ტკივილში ჩემივე ქვეყნის შეცოდება დაინახა, ის ბოლომდე გამიგებს, მაგრამ გაჩუმდება, რადგან ადრე ამ განწყობისთვის ხვრეტდნენ ან ასახლებდნენ, მერე - იცინოდნენ, დღეს - ფეხებზე ჰკიდიათ...

ხვალ?

უმომავლო ქვეყანაში?

მკითხველთა წერილები იბეჭდება რედაქტირების გარეშე.

იაპონელებმა საკუთარ ტრადიციებს გვაზიარეს

ვინ წარმოაჩენს ქართულ ხელოვნებას იაპონიაში?

გუშინ იაპონური ხელოვნების გამოფენა თბილისში ანშლაგით გაიხსნა. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი აღმოსავლური ეგზოტიკის მოყვარულებს ვერ იტევდა. წარმატებულ ერთობლივ პროექტს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა (სესილი გოგიბერიძის ხელმძღვანელობით) და მუზეუმის წარმომადგენლებთან ერთად, იაპონელი სტუმრებიც ზეიმობდნენ.

თეა დვალი

ბესო ბელკაბელიანის ფოტო

ქართველები კიმანოს "აგემოვნებენ"

მეოთხე დღეა, საქართველოს კულტურულ-ტურისტული და საგაჭრო პოტენციალით დაინტერესებული იაპონელი სტუმრები ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში არიან. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ძალ-ღონე არ დაიშურა, ქართულ-იაპონური პროექტი, რომლის თანაორგანიზატორიც თვითონ არის, მასშტაბურად გაეცნო საქართველოს მოსახლეობისთვის. როგორც იტყვიან, "პრომოუშენმა" გაამართლა და იაპონური ხელოვნების გამოფენა ანშლაგით გაიხსნა.

უკვე მივეჩვიეთ, რომ ცალკეულ ღონისძიებებსაც შეიძლება ვუწოდოთ ფესტივალი. ამიტომაც, აღარავის გაკვირვებია, რომ სამდღიანი გამოფენაც "იაპონია-საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის პირველი ერთობლივი ფესტივალის" ეგიდით გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ტოკიოში დაარსებული საქართველოს ეროვნული კულტურისა და ვაჭრობის ცენტრია. ერთობლივი პროექტის პირველ ჯერზე იაპონელებმა, საკუთარი ტრადიციული ხელოვნების წარმოსაჩენად, რვაკაციანი დელეგაცია იკმარეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იაპონური მელნის მხატვრობა, კერამიკული, ფოტო და გრაფიკული ნამუშევრები; ქართველ დამთვალიერებელს კიმონოს ჩაცმას ამ საქმის იაპონელი სპეციალისტი ასწავლიდა. საგამოფენო ექსპონატები კომპანია "იმედი-ელ ინტერნაციონალმა" დააზღვია.

თბილისელებმა თავად ნახეს, თუ რით იზიდავს იაპონური მელნის მხატვრობის ოსტატის - ოჰგენ ჰამანაკას ნამუშევრები ბუკინგემის სასახლეს; როგორი განსხვავებული ტექნიკით ქმნიან ივაკიჩი ფურუშო (უფროსი) და ივაკიჩი ფურუშო (უმცროსი) ტრადიციულ ინდიგოს ხელოვნებას; როგორია ახალგაზრდა მოგზაურის, იუკო იაგის მხატვრული ფოტოგრაფია; დაათვალიერეს ტაეკიდო ტომოდას გრაფიკული ნამუშევრები. გამოფენაზე კერამიკა სამმა ავტორმა - იუკიო იამაგუჩიმ, მინორუ საკაგუჩიმ და ტოშიო სუდომ, წარმოადგინა. ამ ყველაფერს საკმაოდ მრავალფეროვანი აუდიტორია ათვალიერებდა. მათ შორის იყვნენ პროფესიონალებიც - გია ბუღაძე და რუსუდან ფეტვიაშვილი; იაპონური ეგზოტიკის სანახავად მოსული სტუდენტი-ახალგაზრდობის მთელი არმია და ა.შ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გამოფენის გახსნაზე შესვლა დიდებისთვის ორი, ხოლო პატარებისთვის ლარი ღირდა (აქამდე თბილისში მსგავსი რამ არ მახსოვს), ხოლო გარეთ დარჩენილიც არავინ მინახავს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღონისძიება საკმაოდ წარმატებული გამოვიდა.

გამოფენა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ოთხ ნოემბრამდე გაგრძელდება. ახლა მთავრია, როგორ დაგეგმავს კულტურის სამინისტრო იაპონიაში ქართული კულტურის დღეებს და როგორ წარმოაჩენს მას. როგორც კულტურის მინისტრისგან შევიტყვეთ, იაპონიაში საპასუხო ფესტივალისთვის სამზადისი მის სამინისტროში ჯერ არ დაუწყიათ.

მშვიდობის კულტურა - ერთობლივი უარი ძალადობას

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა პლაკატის კონკურსს უმასპინძლა

თეონა ჯაფარიძე

ბესო ბელკაბელიანის ფოტო

საგამოფენო დარბაზი

დღეს კავკასია, "კონფლიქტების ზონის" იმიჯის წყალობით, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ხშირ შემთხვევაში კავკასიის რეგიონი მათი პროექტების პირდაპირი ადრესატია. ალბათ, ყველაზე მძაფრად აქ შეიგრძნობა ომის და მშვიდობის კონტრასტი, რაც, წესით, თანამედროვე ხელოვნებას უნდა ასაზრდოებდეს. პლაკატის ჟანრი და ფორმა, ამ მხრივ, ყველაზე მეტად "ურტყამს მიზანში:" ის არც ილუსტრაციაა და არც ფერწერა, თუმცა მასში ხელოვნების ყველა დარგია შერწყმული.ამ ჟანრში მთავარი ლაკონურობაა.

Unifem-მა ("გაეროს განვითარების ფონდმა ქალებისათვის") გამოაცხადა სოციალური პლაკატის კონკურსი-გამოფენა – "ქალები მშვიდობისათვის." კონკურსი რეგიონული პროექტის – "ქალები კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის მშენებლობისათვის სამხრეთ კავკასიაში", შემადგენელი ნაწილია. პროექტის კოორდინატორმა ლელა ბაქრაძემ საუბრისას აღნიშნა,რომ მსგავსი კონკურსი, პროექტის ფარგლებში, 2001 წლის შემოდგომაზეც მოეწყო სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში. კონკურსის შედეგად შეიქმნა და დაიბეჭდა 2002 წლის კალენდარი სახელწოდებით - "ქალები მშვიდობისათვის სამხრეთ კავკასიაში," რომელიც დღეს მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისშია გამოფენილი.

დღეს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის საგამოფენო დარბაზში, საკონკურსოდ გამოფენილ 50-მდე პლაკატიდან, ჟიურის მიერ გამოვლენილი ნამუშევრები 2003 წლის კალენდრის ფურცლებით ლაკონურად გაწევენ იდეის პროპაგანდას – "ქალები მშვიდობისათვის."

ჟიურიმ (თავჯდომარე მხატვარი თამაზ ვარვარიძე) ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მთავარი პრიზით მხატვარი და ფოტოგრაფი ბესო შონჰერდტი დაჯილდოვდა. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები და ფულადი პრემიები კი ზურაბ ნაცვლიშვილმა, ნონა ლაბაძემ, გეგა პაქსაშვილმა და ლაშა წიწაკაძემ გაინაწილეს.

თბილისელი „მოლა ნასრედინისტი"

თამარ სუხიშვილი

ოსკარ შმერლინგის სახელს კარგად იცნობენ მთელ კავკასიაში. გასულ კვირას აზერბაიჯანში კიდევ ერთხელ გაიხსენეს კარიკატურის დიდოსტატი, "მოლა ნასრედინისტი". ნახიჭევანში გამართული კონფერენცია და გამოფენა ჟურნალ "მოლა ნასრედინის" გერმანელ კარიკატურისტებს - ოსკარ შმერლინგისა და იოზეფ როტერის შემოქმედებას ეძღვნებოდა.

ოსკარ შმერლინგი 1863 წელს დაიბადა თბილისში. უმაღლესი განათლება პეტერბურგის ხელოვნების აკადემიასა და მიუნხენის აკადემიაში მიიღო. მუშაობდა ხატვის მასწავლებლად თბილისის პირველ ქალთა გიმნაზიაში, მან პირველმა შექმნა სამხრეთ კავკასიაში ხატვის დაწყებითი სკოლა, თბილისში კი ქანდაკების სკოლა დააარსა, რომელსაც 1902-1916 წლებში თავად ხელმძღვანელობდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ოსკარ შმერლინგმა კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა სახვით ხელოვნებაში კარიკატურის ჟანრი შემოიტანა. იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილ შმერლინგის კარიკატურებს შორის მრავლადაა პოლიტიკური კარიკატურაც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოსკარ შმერლინგი აქტიურად თანამშრომლობდა აზერბაიჯანულ ჟურნალთან - "მოლა ნასრედინთან", მეგობრობდა ჟურნალის გამომცემელთან, ჯალილ მამედყულიზადესთან. "მოლა ნასრედინში" მხატვრის 600-ზე მეტი კარიკატურა დაიბეჭდა.

ზემოხსენებული კონფერენციისთვის აზერბაიჯანში საგანგებოდ გამოიცა "მოლა ნასრედინის" ოსკარ შმერლინგისეული კარიკატურები, რასაც მხატვრის წერილები და ჩანაწერებიც ახლავს თან.

Formula 1

ხუან პაბლო მონტოია: „მსოფლიოში მესამე ვარ„

ხუან პაბლო მონტოია

bmw უილიამსის გუნდის პილოტი, კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოია, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოა, რომ წელს ვერც ერთი რბოლა ვერ მოიგო, მაგრამ იგი აბსოლუტურ კმაყოფილებას გამოთქვამს მესამე საპრიზო ადგილის მოპოვებით და იმედოვნებს, რომ მომავალი სეზონი მისთვის უფრო იღბლიანი იქნება. მონტოიას აზრით, მომდევნო სეზონზე იგი "ფერარის" პილოტებს - მიხაელ შუმახერსა და რუბენს ბარიკელოს შორის აღმოჩნდება."უილიამსში" მონტოიას კოლეგამ, რალფ შუმახერმა წლევანდელი სეზონი მეოთხე საფეხურზე დაასრულა. 6 წლის განმავლობაში ეს მიღწევა საუკეთესოა უმცროსი შუმახერისთვის. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით განაცხადა მონტოიამ, რომ წლევანდელი სეზონი მისთვის იღბლიანი გამოდგა.

ხუან პაბლო მონტოია: "მე მსოფლიოში მესამე ვარ და საწუწუნო არაფერი მაქვს. მხოლოდ ორი წელია, რაც ფორმულაში ვიმყოფები და უკვე სამეულში შევედი. ეს ცუდი შედეგი არ არის. "ფერარის" შემდეგ საუკეთესო ვარ. მესამე ადგილი ჩემთვის მნიშვნელოვანია. ეს, რა თქმა უნდა, გამარჯვება არ არის, მაგრამ მაგალითად, რალფ შუმახერი მეექვსე წელია, ფორმულის პილოტია და მისი საუკეთესო მიღწევა მეოთხე ადგილია. ასე რომ, ჩემი აზრით, მესამე ადგილი ძალიან კარგია. სეზონი, რაღაცნაირად, ხისტი გამოდგა. მე რალფთან დიდი პაექრობა მქონდა, მაგრამ მისი გადასწრება მაინც შევძელი. მონტოიამ წელს 7 პოული მოიპოვა, გამარჯვებად კი ვერცერთი ვერ აქცია. ის მაინც დიდ გულზეა და მიაჩნია, რომ წლევანდელი სეზონი პერსონალურად მისია.

"ამ სეზონში კვალიფიკაცია მართლაც საუცხოოდ გამომივიდა. დაუჯერებელი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ სილვერსტოუნის რბოლაში ბრწყინვალე წრე გამომივიდა. არადა, როგორც წესი, ამ რბოლებზე მოულოდნელი, რეალური პრობლემები იჩენდა ხოლმე თავს და რაიმე შედეგის მიღწევაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სილვერსტოუნმა საოცრად ჩაიარა. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პირადად ჩემთვის ეს წარმატებული სეზონი იყო - უკეთესი, ვიდრე წინა. ერთი კია, რომ წელს ვერც ერთი რბოლა ვერ მოვიგე.

მოკლედ

ფეხბურთი. ურუგვაის ნაკრების ფეხბურთელები ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ორ მილიონ დოლარს სთხოვენ, იმისთვის, რომ კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ითამაშეს. საქმე ის არის, რომ ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს ზუსტად ორ მილიონს შეჰპირდა, თუ გუნდი ფინალურ ეტაპზე გასვლას მოახერხებდა. ახლა კი დანაპირების შესრულება მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთელები სასამართლოში ჩივილით იმუქრებიან. "ოფიციალურ პირებთან ტკბილი სიტყვით არაფერი გამოგვივიდა," - განაცხადა ფეხბურთელთა ინტერესების დამცველმა იურისტმა, ალეხანდრო ბელბინმ.

ურუგვაული ფეხბურთი ამჟამად კრიზისში იმყოფება. ფეხბურთელები მინდორზე გასვლას არ აპირებენ იმ დრომდე, ვიდრე კუთვნილ ხელფასებს არ მიიღებენ. დავალიანება ხუთი თვის შესაბამის თანხას შეადგენს. საფეხბურთო ჩინოვნიკებმა მხოლოდ ერთი თვის წინათ შეძლეს ფეხბურთელთა საყოველთაო გაფიცვის შეჩერება.

■ ■ ■

ფეხბურთი. აშშ-ის ნაკრების მეკარე კლაუდიო რეინა იძულებულია, ფეხბურთს ექვსი თვით ჩამოსცილდეს. ინგლისური "სანდერლენდის" ფეხბურთელმა ორშაბათს, "ბოლტონთან" შეხვედრისას, მუხლის ტრავმა მიიღო. რეინა მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. ზუსტი დიაგნოზის დასასმელად სანდერლენდში საგანგებოდ ჩავიდა აშშ-ის ნაკრების ექიმი ბერტ მანდელბაუმი. მისი თქმით, რეინას ოპერაცია სჭირდება, მაგრამ ოპერაციამდე საჭიროა მუხლის ორი ან სამი კვირით დასვენება, ვიდრე შეშუპება არ გაუვლის. "სანდერლენდისთვის" ეს სერიოზული დარტყმაა. გუნდი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. რეინა კი კლუბის წამყვანი ნახევარმცველია. "სანდერლენდმა" ამერიკელ ფეხბურთელში შოტლანდიურ "რეინჯერსს" 6,8 მილიონი დოლარი გადაუხადა.

■ ■ ■

ფეხბურთი. "მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელმა კაპიტანმა როი კინმა არ გააპროტესტა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილება, რომელმაც კინს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 150 000 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა დააკისრა. ამ ვერდიქტის თანახმად, ლეგენდარული ირლანდიელი მინდორზე 7 დეკემბერს გამოვა, როცა "მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონის "არსენალს" შეხვდება. მანამდე კი კინი ბარძაყის ტრავმას იშუშებს, რის გამოც მან ბოლო ორი თვე გამოტოვა. შეგახსენებთ, რომ ესოდენ მკაცრი ვერდიქტის საფუძველი გახდა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელშიც კინმა აღიარა, რომ მეტოქეს შარშანწინ განზრახ მიაყენა ტრავმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის "რეალის" ბანაკში გულშემატკივართათვის სამწუხარო ინფორმაცია გავრცელდა. მუცლის ტკივილის გამო გუნდის საუკეთესო ბომბარდირი რაული ვერ ითამაშებს ლა კორუნიის "დეპორტივოს" წინააღმდეგ უპრინციპულეს მატჩში. რაული გუნდთან ერთად გალისიაშიც კი არ გამგზავრებულა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ტრავმების ეპიდემია მიუნხენის "ბაიერნსაც" თავს დაატყდა. ავადმყოფობის გამო იძულებითი დასვენება მოუწევთ გუნდის ლიდერებს - მიხაელ ბალაკსა და ჯოვანი ელბერს. ფეხბურთელები "დეპორტივოს" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავდნენ.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ უილიამ ჰილის ბუკმეკერულ კანტორაში, დაახლოებით, 30 წლის მამაკაცმა ლონდონის "არსენალის" ჩემპიონობაზე საკმაოდ სოლიდური თანხა - 64 000 გირვანქა სტერლინგი (კანტორის წარმომადგენლის თქმით, 100 000 დოლარი) დადო. ეს, კანტორის ისტორიაში, პრემიერლიგის ჩემპიონობაზე დადებული ყველაზე დიდი თანხაა. გამარჯვების შემთხვევაში რისკიანი მოთამაშე 140 600 გირვანქას მოიგებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. სენეგალელი პოპ ბუბა დიუფი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებს ერთადერთი გოლი გაუტანა, ბარძაყის ოპერაციას საჭიროებს და ორი თვის გამოტოვება მოუწევს. "ლანსის" ნახევარმცველს ოპერაცია უახლოეს პერიოდში გაუკეთდება.

■ ■ ■

კალათბურთი. იტალიური "ფორტიტუდოს" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გუნდის კაპიტანმა ჯანლუკა ბაზილემ კლუბთან კონტრაქტი ორი თვით გააახანგრძლივა. "სკიპერის" შემადგენლობაში ბაზილეს დებიუტი 1998-1999 წლების სეზონზე შედგა, როცა მან ყოფილ კლუბ "რეჯიო ემილიასთან" 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. იტალიის ჩემპიონატის 143 შეხვედრაში ბაზილემ 1553 ქულა მოაგროვა – საშუალოდ, 10,8 ქულა ერთ თამაშში. 1999-2000 წლების სეზონზე, "სკიპერთან" ერთად, ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. ამ სეზონის დაწყების წინ ბაზილე გუნდის კაპიტნად აირჩიეს.

■ ■ ■

ბიატლონი. ბელორუსი ბიატლონისტი ვადიმ საშურინი დოპინგის მიღებაში ამხილეს, მაგრამ მან პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სპორტული კარიერის დასრულებას არ ფიქრობს. შეგასენებთ, რომ ბიატლონის საერთაშორისო კავშირმა 28 ოქტომბერს გამოაცხადა საშურინს ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის, ნანდროლონის, აღმოჩენის შესახებ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის მიმართ სანქციების დანესების თაობაზე ბიატლონის საერთაშორისო კავშირის აღმასკომის სხდომა 4 ნოემბერს ბერლინში გაიმართება.

სპორტსმენს, სულ ცოტა, 2-წლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. საშურინი აპირებს, დამოუკიდებლად გააგრძელოს ვარჯიში და ორი წლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს დიდ სპორტს. მომხდართან დაკავშირებით, საშურინმა მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. მან განმარტა, რომ, უკვე დიდი ხანია, მხარი აწუხებს. განვლილი ოლიმპიური სეზონის შემდეგ, როცა სპორტსმენი მაქსიმალური დატვირთვით ვარჯიშობდა, მკურნალობის ტრადიციულმა მეთოდმა შედეგი არ გამოიღო.

გაზაფხულზე სპორტსმენის ჯანმრთელობა გაუარესდა. მისი თქმით, ჭკუის დამრიგებელი არავინ იყო. ოლიმპიურ თამაშებზე ბელორუსიის ნაკრების უფერული გამოსვლის შემდეგ გუნდიდან გაათავისუფლეს საშურინის პირადი მწვრთნელი. მაშინ სპორტსმენმა გარისკა და პეტერბურგელ ექიმებს მიაკითხა არატრადიციული მეთოდებით სამკურნალოდ. მათ სპორტსმენს სამი ნემსი გაუკეთეს და აუხსნეს, რომ წამლების მოქმედება ორგანიზმიდან ერთ თვეში გაივლის. თუმცა, რეალური სურათი სხვაგვარი აღმოჩნდა და ორგანიზმში პრეპარატის მოქმედება ექვს თვეს გაგრძელდა.

რაგბი

ახლო და შორეული საფრანგეთი

რუსეთთან საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვების შემდეგ ლევან ცაბაძემ თქვა: საფრანგეთში რომ არ ვთამაშობდეთ, ასეთ დონეს ვერ მივაღწევდითო. აშკარაა, ჩვენი რაგბი ფრანგულს ვერ შეედრება. ეს გუშინ ჭაბუკ მორაგბეთა მატჩმაც დაადასტურა.

ჰაატა თოთაძე

ალექსანდრე ხაჩიშვილის ფოტოები

პატარა ბორჯღალოსნები ყვინჩილებს ვერ მოერევნენ

19 წლამდელთა ნაკრებები

საქართველო - საფრანგეთი
19:49

საქართველო: *სანიკიძე, ყუფარაძე, მელიქიძე, სუთიაშვილი, ალიქაძე, ნატროშვილი, მალაღურაძე, გორგოძე, მჟავანაძე, ბარკალაია, ელიზბარაშვილი, გეგიძე, გიგაური, ძიძიშვილი, შალიკაშვილი*

1 ლ. - ბარკალაია

1 გ. და 4 ჯ. - ბარკალაია

საფრანგეთი: *გაზალი, ეგი, მონტი, ლაკრუა, დროზი, ბონტეკი, შული, ეპიტო, სიბრეი, ბუქსი, ბურე, ლეტურნერი, დელგადო, ფილიპა, ჟოვრე*

6 ლ. - ფილიპა (2), დარვი, ბურე (2), ბონტეკი

5 გ. - ბუქსი

2 ა. და 1 ჯ. - ბუქსი

მსაჯი: *ნოდარ რობიტაშვილი*

არ ვიცი, სტადიონზე მისული გულშემატკივარი რას ელოდა საქართველოს ნაკრებისგან, მაგრამ ჩვენი გუნდი მეტოქის მომგები რომ არ იყო, ჯერ კიდევ მატჩამდე იყო ნათელი რაგბში გათვიცნობიერებული კაცისთვის. არა, მეტოქის მიმართ შიში ან მოკრძალება აქ არაფერ შუაშია, საერთოდაც, რაგბისთვის ასეთი რამ უცხოა. საქმე გუნდების სათამაშო კლასს ეხება. ფრანგები კი, ამ მხრივ, ქართველებზე არა თუ ერთი, ორი თავით მაღლა დგანან. მატჩის შემდგომ ფრანგთა თავკაცმა ფაბრის ბროშარმა განაცხადა: დღეს ჩვენ თამაშის ორგანიზაციით გაჯობეთ, თორემ ფიზიკურად თქვენები ძალიან კარგად არიან მომზადებულებიო. ქართველთა ფიზიკური სიძლიერე და გამძლეობა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმაც აღნიშნა, მაგრამ გუშინდელ მატჩში ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჯერ ერთი, სუსტები არც ფრანგები ყოფილან, მეორეც ის, რომ ჭაბუკთა მატჩებისას მორაგბეებს შერკინებაში მიწოლა ეკრძალებათ და ფიზიკური ძალა, ფაქტობრივად, გამოუყენებელი რჩება. სისწრაფით კი ფრანგები გვჯობნიდნენ, რამაც შედეგშიც იჩინა თავი. გაგიკვირდებათ, მაგრამ სტუმრები ჩვენს ჩათვლის მოედნაბმდე ძალიან იოლად აღწევდნენ, იქ კი ლელოს დადება უკვე ტექნიკის საქმე იყო, რაც ფრანგებს ჩვენგან ნამდვილად არ დაეწუნებათ. მეტოქემ დერეფანშიც პირწმინდად დაგვჩაგრა - საკუთარი აუტების მოგება არ იკმარა და ჩვენსას გადასწვდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფრანგი ნახევარმცველების თამაში. სიბრეი და ბუქსი ერთ კლუბში თამაშობენ და ერთმანეთთან შესანიშნავად არიან შეთამაშებულნი. ამას დაემატა ბუქსის საოცარი სიზუსტის დარტყმები. თავისუფალმა ფრანგმა ნახევარმცველმა მოედნის ლამის ყველა წერტილიდან გაიტანა ბურთი და საკუთარ ანგარიშზე 19 ქულაც მიითვალა.

ქართველთაგან ოთარ ბარკალაია გამოირჩეოდა. საქართველოს ნაკრების მიერ მოპოვებული ყველა ქულა მისი დამსახურებაა. მოკლედ, დავმარცხდით და თანაც, მეტოქემ აბსოლუტურად ყველაფერში გვაჯობა.

"სიმართლე გითხრათ, მე უარესს შედეგსაც ველოდი, - განაცხადა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე პაატა ნარიმანაშვილმა, - ჩვენი გუნდი სამი დღის წინ შეიკრიბა, მეტოქე კი, უკვე რამდენიმე თვეა, ემზადება. ამ სამ დღეში შეუძლებელი იყო რაიმეს შეცვლა. რამდენიმე მოთამაშე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან მხოლოდ გუშინ შემოგვიერთდა. ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჩვენი მზადების დასაწყისი. მოხარული ვარ, ასეთ ძლიერ გუნდთან რომ მოგვიწია თამაში, რადგან დღეს გამოჩნდა ჩვენი სისუსტეები, რომელთა აღმოფხვრაზეც მომავალში ვიმუშავებთ."

ბროშარის თქმით, ის კმაყოფილი დარჩა საქართველოში ვიზიტით: "ჩვენ მივიღეთ ზუსტად ის, რაც გვსურდა. მზადების ამ ეტაპისთვის საქართველოზე კარგ მეტოქეს ჩვენ ვერ ავირჩევდით. თქვენები ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები და კონტაქტშიც ტექნიკურად თამაშობენ. სწორედ, ასეთ გუნდთან გვსურდა თამაში. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები ევროპული გრანდების შესაფერისად შეძლებს თამაშს, ოღონდ საამისოდ კარგად და, რაც მთავარია, სწორად უნდა მოემზადოთ. დღეს ქართველებს ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდათ, თუმცა ეს სწორი მუშაობით ადვილად გამოსწორებადია".

ქადრაკი

ჭობავამ საქართველოს ნაკრებს გაამარჯვებინა

ბლედში მიმდინარე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადამ ეკვატორი გადალახა. დადგა გადამწყვეტი მატჩების დრო. მეშვიდე ტურში ქართველმა მოჭადრაკეებმა – ვაჟებმაც და ქალებმაც, მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეს. ვაჟთა ნაკრების მეტოქე უკრაინის გუნდი იყო. უკრაინელთა შორის ყველაზე ცნობილი ივანჩუკია, რომელსაც პირველ დაფაზე შავი ფიგურებით ზურაბ აზმაიფარაშვილი დაუპირისპირდა. დებიუტში ქართველმა მცირე უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ამ უპირატესობის განვითარება ველარ შეძლო და მეტოქეს დაუზავდა. თავისი შეხვედრები ფრედ დაასრულეს - სტურუამ და მჭედლიშვილმა. გადამწყვეტი ბაადურ ჯობავასა და ნეიეროვის პაექრობა აღმოჩნდა. ჯობავამ თეთრი ფიგურებით ითამაშა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა - 2,5:1,5 მოიგო და 19 ქულით - სომხებთან, ბელორუსებთან და ჩეხებთან ერთად, 7-10 ადგილებს იყოფს. პირველ ადგილზე კი 21,5 ქულით რუსეთის ნაკრებია, რომელმაც მე-7 ტურში - 3:1 მოუგო პოლონელებს.

ქალთა ნახევარში ქართველთა სრული ჰეგემონია სუფევს. უფრო სწორად სრული იქნებოდა, რუსეთის ნაკრებიც რომ დაგვემარცხებინა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ნინო ხურციძე კოსტენიუკთან მატჩში დამარცხდა და თამაშიც ყაიმით - 1.5:1,5 დამთავრდა. თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. შეხვედრის დებიუტი ქართველთათვის იღბლიანი გამოდგა. პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ შავი ფიგურებით კოვალევსკაია დაამარცხა და საქართველოს ნაკრები დაწინაურდა. ეს დამატებითი სტიმული იყო ნანა იოსელიანისთვის, რომელმაც მატვეევასთან დებიუტში უკეთესი პოზიცია კი მოიპოვა, მაგრამ შეცდომა დაუშვა და პარტია ყაიმით დასრულა. არც ეს იყო ურიგო შედეგი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს ფორტუნამ უმტყუნა და რუსებთან შეხვედრაში მხოლოდ ფრეს დავჯერდით.

ამის მიუხედავად, სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საქართველოს ნაკრები 16,5 ქულით ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს, იმ განსხვავებით, რომ ქართველი მოჭადრაკეები მეორე ადგილზე მყოფ ჩინეთის ნაკრებს არა 1,5 წულით, არამედ ნახევარი ქულით უსწრებენ. ჩინელებმა, ვიდრე რუს-ქართველთა უშეღავათო ბრძოლა მიმდინარეობდა, დრო იხელთეს და ადვილად დაჩაგრეს ფრანგები -3:0. 15 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები იყოფენ.

ფეხბურთი

ტრაპატონის ნაკრებიდან აძევებენ

მის შემცვლელად ძოფი, სკოლარი და ერიქსონი მოიაზრებიან

იტალიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის ბედი ორშაბათს გაირკვევა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის (FIGC) პრეზიდენტმა, ფრანკო კარარომ განაცხადა, რომ მწვრთნელის ნაკრებში დატოვება-არდატოვების საკითხზე ხვალ რომში განაცხადებს. შემდეგ კი, 8 ნოემბერს, კარაროს გადაწყვეტილებას ფედერაციის აღმასკომი განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის ცნობილი, თუ რა გადაწყვეტილება მიიღო კარარომ, იმის ვარაუდი ნამდვილად შეიძლება, რომ ტრაპატონის თავის პოსტზე არ დატოვებენ.



დინო ძოფი



ლუის ფელიპე სკოლარი

სვენ გორან ერიქსონი

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მწვრთნელს დიდი ხნის მანძილზე ედგა გვერდზე და მრავალი წარუმატებლობაც აპატია. იტალიის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატიდან ვადაზე ადრე გამოვარდნის მიუხედავად, კარარომ ტრაპატონის პოსტი შეუნარჩუნა. უელსის ნაკრებთან, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დამარცხების შემდეგ კარაროს განწყობა შეიცვალა. მიუხედავად ამისა, იგი ტრაპატონის მაინც იცავდა. როგორც ჩანს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოთმინება ამოიწურა და მან ტრაპატონის გადაყენება გადაწყვიტა.

იტალიური პრესა ტრაპატონის შესაძლო შემცვლელებზე უკვე ალაპარაკდა. განიხილება რამდენიმე კანდიდატურა. ყველაზე მეტს დინო ძოფზე საუბრობენ, რომელმაც "სკუადრა აძურა" ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. თუმცა, ძოფის კანდიდატურა არ არის ერთადერთი: ავტორიტეტული სპორტული გაზეთ "Gazzetta dello Sport"-ს იტალიის ნაკრების სათავეში ბრაზილიელი ლუის ფელიპე სკოლარის მოსვლა ესახება რეალურად. გაზეთი ამტკიცებს, რომ სკოლარის კანდიდატურა იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც განიხილება. პრესა კვლავინდებურად საუბრობს სვენ გორან ერიქსონზეც, თუმცა არ ითვალისწინებს, რომ შვედმა მწვრთნელმა ცოტა ხნის წინათ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტის მიტოვებას არ აპირებს.

არის კიდევ ერთი ვარიანტი: შესაძლოა, ფრანკო კარარომ თავის ხვალინდელ გამოსვლაში ტრაპატონის 2003 წლის ზაფხულამდე დატოვება მოითხოვოს. ეს ვარიანტი იმით არის ხელსაყრელი, რომ სეზონის ბოლოს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შესაძლებელი გახდება კიდევ რამდენიმე სასურველი კანდიდატის გადმობირება - მაგალითად, ლუიჯი დელ ნერის, რომელიც ამჟამად ვერონის "კიევოს" უდგას სათავეში და ზაფხულამდე "არ სცალია". მედიის აზრით, დელ ნერის გარდა, ფეხბურთის ფედერაცია ფაბიო კაპელოს კანდიდატურაზეც ფიქრობს.

ზაფხულამდე მოცდას, უპირატესობასთან ერთად, მინუსებიც აქვს: თუ ტრაპატონიმ ასე გააგრძელა, ზაფხულში მოსული ახალი მწვრთნელი ვეღარაფერს შეცვლის – ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იტალიის ნაკრების გაყვანას ვეღარავინ შეძლებს.

თავად "ჯერ კიდევ მწვრთნელი" იმედს არ კარგავს და თანამდებობის შენარჩუნებას ცდილობს. "მე არ დავნებდები. მართალია, უელსთან წავაგეთ, მაგრამ ჩვენს გუნდს დიდი მომავალი აქვს. მჯერა ჩემი ფეხბურთელების, ევროპის ჩემპიონატზე აუცილებლად გავალთ", - ამბობს ტრაპატონი. ნაკრების რამდენიმე მოთამაშე თავის მწვრთნელს მხარს უჭერს და მის გადაყენებას ეწინააღმდეგება, მათ შორის - კრისტიან ვიერიც. *(sid)*

ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია

აცხადებს ბავშვების მიღებას

6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

ბინები

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, 132 კვ.მ არასტანდარტული ბინა ჩიქოვანის №18-ში. პირველი სართული. ფასი: 20000 $. ტელ: 98-40-41

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება 3-ოთახიანი დიღმის მასივში. სარდაფი 78 კვ.მ. 15000. ტელ: 52-33-65.

იყიდება 2-ოთახიანი იზოლირებული 2(5) სუფთა ბინა ლოჯვით, ბ/აირით. მეტრო "სამგორთან" . ფასი: 8000$. ტელ: 22-45-86 მაკა.

იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი ევრორემონტით სამების ტაძართან. გამოდგება სასტუმროდ. 99-62-43, 77-23-31.

იყიდება იაფად 130 კვ.მ. კარკასი კეკელიძის ბოლოში. 25 16 76, 8(77) 76 22 71

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

იყიდება 2-სართულიანი აგურის შენობა ორთაჭალაში (750 კვ.მ.), სარდაფით, მიწის ნაკვეთით, მუდმივი დენით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

ბინები

ქირა, გირაო

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

გირავდება "ჩეხური" 4-ოთახიანი ბინა 1100-ად, გლდანის VI- მ/რ-ში, 4(9). 64-33-60

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

კომერციული ფართი

იყიდება 160 კვ.მ გარემონტებული მაღაზია მუშა მდგომარეობაში. მთაწმინდაზე. გამოდგება ოფისისთვის ან ვიდეო სპონსორს. 93-42-86.

ქირავდება!

კომერციული ფართი ვერაზე

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან

იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

იყიდება "BMW" 500-ად, "ტავრია" 500-ად და "07" 900-ად. 93-29-26.

იყიდება "ოპელ-ომეგა" , "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

სასწრაფოდ იყიდება "ფოლკცვაგენ-პასატი", 1999 წლის, სრული ელპაკეტით, ბენზინზე, განბაჟებული. 8 300-ად. 8(77) 75 40 46

სწავლება

შევასწავლი გერმანულს ნებისმიერ დონეზე. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. 39-61-68 ან 899 269108 თეონა.

შევასწავლი გერმანულს ენას. 32-03-71.

ვასწავლი ფორტეპიანოზე დაკვრას ნებისმიერი ასაკის მსურველს. 79-90-17 ნინო (საღამოს 9-სთ-ის შემდეგ).

სტუდენტი მოამზადებს გერმანულში დაბალკლასელებს ან სკოლამდელებს ბინაზე მისვლით 15 $-ად. 29 40 16 ეკა

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

სხვადასხვა

ყიდება ძველი გამშრალი წაბლის მასალა 3 კუბამეტრი. ფასი 140$ და ბაზალტის ფილები 15 კვ.მ. ფასი 1კვ –12.00 ლარი. 77-09-76.

ვასრულებს სამღებრო-სარემონტო სამუშაოებს შეღებვათიან ფასებში. 57-11-26.

კომპიუტერის სპეციალისტი გამოძახებით: კომპიუტერის შეკეთება, პროგრამული მომსახურება, ინტერნეტში ჩართვა, კონსულტაცია. 96-65-30.

გთავაზობთ რადიკულიტისა და იშიაძის უებარ მალამოს "რადიში" (ლიცენზია –MP0002782).

ვულკანიზაციისა და დაბალანსების დანადგარები. ფასი: ტელ: 32-60-66 (21 სთ-დან) თემური.

იყიდება: 1. ბორმანქანა კომპრესორით, პედლით, ბენიკით, ამოსაშრობით და შუქით; 2. ელექტროშემდუღებელი აპარატი "კემპი" 220V. ტელ: 62-54-32 თენგიზი.

იყიდება დახლი მაცივარი კარგ მდგომარეობაში, ასევე სანაყინე მაცივარი. თითო 400$. ტელ: 68-09-11.

გართობა, უსაფრთხოება, თვალთვალი! ამერიკული მინიკამერები, მიახლოებისას განათების და ვიდეოჩაწერის ავტომატიზაცია. 72-08-30.

გირავდება მესხური პურის საცხობი 1 600-ად, ქალაქის ცენტრში. 38 81 28

შ.პ.ს. „რეაბილიტაციის ცენტრი"

გთავაზობთ

ზურგის სამკურნალო მასაჟების

გაკვრნალოგას.

სკოლიოზი, ყიფოზი, ცანდეგობის დისლოკაცია, ხაქიყის ნაჩრენი მოვლენები, ბრტყელი ტერფი, ყისუმბრეგობა, მოკეხილობების შემდგომი ოპერაციული,ორაკეოქონდროზი, დისკოზი, პლექსიტი.

აქვე ჩაგიტარდებათ სამკურნალო ფიზიკულტურა და მასაჟი

ცენტრში ფუნქციონირებს სტომატოლოგიური რენტგენის, კარდიოლოგიური, ფიზიო-თერაპიული კაბინეტები, ბაგშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი აუზი, საუნა.

ვოლენსახურებიან პროფესიონალი ექიმები და მასაჟისტები

თბილისი, შ. ჩიტაძის ქ.№9

ანშლაგი

თეატრები

■ **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

■ **ოვერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპა ვერდი "ფალსტაფი"
დას: 19:00 სთ

■ **ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო საღარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

■ **გალერეა „ვერნისაჟი„**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

კინოთეატრები

■ **„ამირანი„**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00; 18;00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6,7,8 ლარი

■ **„რუსთაველი„**
"პატარა სტიუარტი"
დას: 13:00; 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

სკანდინავიური კროსვორდი



ანი ალექსიშვილი, ტანმოვარჯიშე და ფოტომოდელი

ანა კორძაია-სამადაშვილი

უკანასკნელი რამდენიმე კვირაა, გაზეთ "24 საათისა" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრის" მიერ გამოცხადებილი სილამაზის კონკურსის, "მის ფოტომოდელი 2002"-ის წყალობით, მშვენიერ გოგონებთან მიწევს საუბარი. ამ კვირის გამარჯვებულს, ანი ალექსიშვილსაც "იმიჯ-ცენტრის" ოფისში შევხვდი.

ცხადია, გამარჯვებამ ძალიან გაახარა. მისი თქმით, ამას არ ელოდა (როგორც ჩანს, მეტისმეტად თვითკრიტიკულია). პირადად მე მისი წარმატება არ გამკვირვებია, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც "სიცოცხლეში" ვნახე. მაღალი, ლამაზი აღნაგობის გოგონაა, რომლის ძირითადი მშვენება მაინც თვალები და ნათელი, სათნო ღიმილია.

ანიმ მოდელობა შემთხვევით დაიწყო. 2000 წელს "იმიჯ-ცენტრის" მიერ გამოცხადებულ კასტინგს თავად არ გამოხმაურებია. მოხდა ისე, რომ მის მეგობარს სატელევიზიო რეკლამა უნახავს, საგენტოში მისვლა განუზრახავს, და ანიც უბრალოდ მეგობარს გაჰყოლია. მისაღებში უამრავი ხალხი ტრიალებდა, და ვინაიდან ანიც მათში ერია და გარეგნობაც შესაბამისი აქვს, აღარავინ აღარაფერი ჰკითხა: უმალვე ოთახში შეიპატიჟეს, მონაცემები ჩაიწერეს (არ ვიცი, მაშინ როგორ, ახლა კი ნამდვილად ძალიან მოხდენილია – 174/89/60/90) და მონაწილის ბილეთიც მისცეს – ახლაც ახსოვს, 91-ე. ასე გაიარა ანიმ სამივე ტური და 14 სხვა გოგონასთან ერთად იმიჯ-ცენტრის მოდელი გახდა (მისი სააგენტოში მიმყვანი მეგობარი კი – ვერა).

ანი ტანმოვარჯიშეა. ვარჯიში 10 წლისამ დაიწყო, და მას შემდეგ მრავალი წარმატება ჰქონდა: 1998-99 წლებში საქართველოს პრიზიორი იყო, მონაწილეობდა საბერძნეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, მოსკოვის ახალგაზრდულ მსოფლიო ოლიმპიადაში, მრავალ საერთაშორისო ტურნირში. ამჟამად ის სპორტის აკადემიაში სწავლობს, მწვრთნელი გახდება. მისი თქმით, აქამდე ტანვარჯიშსა და მოდელის პროფესიის დაუფლებას თანაბარ დროსა და ენერგიას უთმობდა, მაგრამ ბოლო დროს მოდელობა სულ უფრო მეტად იტაცებს. ამ საქმეში კი ტანვარჯიშიც ძალიან უწყობს ხელს – მისთვის ვარჯიში და "ფორმაში ყოფნა" არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

ვიმედოვნებ, რომ ამ სარბიელზე პირველი გამარჯვება ანისთვის შემდგომი წინსვლის საწინდარი იქნება. ვუსურვოთ წარმატება – რამდენიმე კვირის შემდეგ მას ჩვენი ფოტოკონკურსის შემდეგი, უფრო რთული საფეხური ექნება გასავლელი.

გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარგიგზავნიდა სილამაზის კონკურსს
მის მოდელი 2002
მონაწილეობის მისაღებად ინვიტეთ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონები.
1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სასეირო კოსტუმი
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მოგვაკითხეთ მისამართზე
ვაჟა ფშაველას 45, 93-13 საათებში. მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 93 69 11
მის მოდელი 2002 1 2 3 4 5 6

TV პროგრამა 3 ნოემბერი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "სამნი"
11.50 ველური გუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.10 იქს მუტანტები
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.25 ჩვენი ეზო
21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "დეტოქსიკაცია" 8 77 45-79-25 სილვესტერ სტალონე, "მისტერ ჯონსი" 8 77 45-79-26 რიჩარდ გირი, ლინა ოლინი, "სასუფევლის მოსვლა" 8 77 45-79-27 კულ ჯეი, ვუდი გოლბერგი
23.50 მხ.ფ. "მემენტო" მთ. როლებში გაი პირსი, ჯერრი-ენ მოსი
01.30 კლასიკა.

პირველი არხი

08.00 "მოამგე"
08.15 მხ. ფილმი "ურჩხულთა მეჯლისი"
10.00 დილის პაემანი
11.05 "ამბები ჩვენზე"
11.35 "მოგზაურობა სასიტყვეთში"
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 "ღამის ჯაზი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი "ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი"
17.15 მულტსერიალი "პრინცესა ნერი"
17.40 "ეძიე ქალი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ჩემპიონი"
18.55 "ეკოდაიჯესტი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბოგენ"
21.25 "მაგთის იუგილე"
22.45 მხ. ფილმი "ლოლიტა"
00.10 "ტაიმ-აუტი"
00.40 მხ. ფილმი "ეშმაკისეული"

პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.30 "მადლიანი ცნობა"
09.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
10.00 "ტორროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "რობინ ჰუდი - ქურდების პრინცი"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "სენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "მაჯესტიკი".
01.40 ღამურა "ნათესაური კავშირები".
03.10 ნონ-სტოპი

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "ბებერი მეზურნეები"
00.25 ჰიტ-პარადი

ევრიკა

11.00 ციისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00, 21.00 "ვესტი"
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება
17.20 საეკლესიო კალენდარი
17.35 საუბრები გიგლიაზე
19.00 დოკ. ფილმი
20.00 იქ სადაც სიყვარულია
20.20 თავისუფალი მიკროფონი
20.40 მოგზაურობა გავშვობაში
22.00 "იდენ-ტე"
22.30 "ევროპა და ევროპელები"
23.30 მსოფლიო სპორტი
00.30 მხ. ფილმი "დაიჭირეთ გოტი"

იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ქანა და შესანიშნავი ბიჭი"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "დაგონი".
20.00 მხ.ფ. "ჩიტი მავთულზე"
22.15 მხ.ფ. "ქეთილისმყოფელი"
00.50 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი"
13.50 მხ. ფილმი "მოსახვევი"
15.50 მხ. ფილმი "შავი ქორის დესანტი"
18.10 "ჯაზ-პარნასი"
18.40 მუსიკა
19.00 ინდ. მხ. ფილმი "სიკვდილთან თამაში"
22.00 მხ. ფილმი "ორი - ეს უკვე მეტისმეტია"
00.00 მხ. ფილმი "უცხონი 4"

მეცხრე არხი

09.00 "დღის ამბები"
09.20, 18.50, 23.45 მუსიკა
09.30 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
10.00, 15.00 "დილა"
11.00 "ევროპის სტადიონებზე"
11.30 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
12.00 საუზრები სტუდიაში
12.50 დოკ. ფილმი "დიდი სამამულო ომი"
13.50 დოკ. ფილმი "დეკუალეს კლანეტა"
16.00 მხ. ფილმი "ბაზა"
17.40 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
18.00 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი"
19.00 მაცაცერა
19.10 მულტფილმი "მხიარული მელოდიები"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი "ვედრება"
22.00 სანახაობა "ყოჩაღები"
22.15 მხ. ფილმი "ცეცხ-ცხელება"
00.00 მხ. ფილმი "სევდიანი ლეგენდა სასახლის დედოფალზე"

აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 Слово
10.30 საბავშვო ფილმი "მელი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "უკანასკნელი რაინდი" 2 სერია
13.30 სათავგადასავლო ფილმი "ფორეული ფორეთი"
16.15 მულტფილმი
17.40 კომედია "ლიფტიდან მარცხნივ"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 სათავგადასავლო ფილმი "მუშკეტერები" 20 წლის შემდეგ"
22.00, 00.00 "დღეს"
22.50 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ქორწილი"
01.00 სათავგადასავლო ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული"
03.30 თრილერი "მისისიპის მორჩენებანი"

VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ავტორეკინგი": დერენ პეისი-შაგი
20.05 "სახლიდან გაუსვლელად"
20.35 "კინოკლუბი" - "ფანდარმი ისვენებს". საფრანგეთი.
22.05 "სახლიდან გაუსვლელად"
22.35 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.00 "სახლიდან გაუსვლელად"
23.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
01.25 პრესის მიმოხილვა

ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Мультфильм "Приключения барона Мюнхаузена"
08.25 Сериал "Флиппер"
09.20 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.10 "Властелин вкуса"
12.55 Худ.фильм "ОХОТА НА ЕДИНОРОГА"
14.30 Дисней-клуб
15.15 Умницы и умники
15.45 КВН-2002. Первый полуфинал
17.50 Док.сериал "Живая природа"
19.00 Времена
20.10 Концерт Н.Кадышевой и группы "Золотое кольцо"
21.50 Боевик "ФИРМА"
00.40 Бокс. Марко Антонио Баррера - Джонни Тапиа
01.45 Худ.фильм "КУДА ПРИВОДЯТ МЕЧТЫ

РТР

07.25 х.ф."ЗЕЛЕНЫЙ ФУРГОН"
08.45 "Дракоша и компания" Детский сериал.
09.10 "Русское лото".
10.00 "ТВ Бинго шоу".
10.35 ВЕСТИ-МОСКВА. НЕДЕЛЯ В ГОРОДЕ.
11.15 "Утренняя почта".
11.50 "Городок". Дайджест.
12.20 комедия "МАЛЕНЬКИЙ КУПАЛЬЩИК"
14.10 "Парламентский час".
15.00 ВЕСТИ.
15.20 "Вокруг света".
16.15 "Диалоги о животных".
17.10 "Моя семья".
18.05 "Аншлаг".
19.00 комедия "КАБЕЛЬЩИК" (США). 1996г.
20.50 "В "Городке".
21.00 ВЕСТИ НЕДЕЛИ.
22.10 "Специальный корреспондент".
22.35 Филипп Киркоров, Лариса Долина, Лайма Вайкуле в гала-концерте, посвященном 30- летию концертного зала "Россия".

საქმიო საზოგადოება ყაზბეგი აწარმოებს
ცივი ჩაის წამახალისებელ ღონისძიებას
ყაზბეგი
გაფრთხილებული პრიზები მინიშნებულია ცივი ჩაის სასოგის შიდა მხარეზე
მოგებული პრიზის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი სასოგი
იმ შემთხვევაში თუ თქვენ მოიგეთ "ერთი ბოთლი" ცივი ჩაი, თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ერთი 0,5 ლ. ტევადობის ბოთლით ცივი ჩაი შეკრების ადგილას. დანარჩენი პრიზები გაიცემა შემდეგ მისამართებზე:
ქ. თბილისი, ბტკვრის მარცხენა სანაპირო №7. ქ. ქუთაისი, ბაათინის №0-7 შესახვევი №7.
ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. №156. ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №8
ლიც. № 01-4/898
წამახალისებელი ლატარეა გასტანს 2002 წლის 21 დეკემბრამდე
მოგებული პრიზების გაცემა გასტანს 2002 წლის 30 დეკემბრამდე.
გასაგებებასთან დაკავშირებულ ნებისმიერი ინფორმაციისთვის შეიძლება მიმართოთ სს. "ზაზბეგის" მარკეტინგის სამსახურს მისამართზე:
ქ. თბილისი, ბტკვრის მარცხენა სანაპირო №7. ტელ.: (995 32) 94 25 74

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

[illegible]

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"[illegible]" [illegible]

"[illegible]" [illegible] (**[illegible]**), [illegible], [illegible], [illegible], [illegible], [illegible] [illegible]. "[illegible]" [illegible] "[illegible]" [illegible] - [illegible], [illegible]. [illegible]

[illegible] "[illegible]" [illegible], [illegible], [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible].

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

[illegible] (3) [illegible] [illegible].